საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 26 ივლისი, 2014 წელი.

№146 (7527)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ძალიან მომენატრა საქართველო და ძალიან მომენატრეთ თქვენ

ამ სიტყვებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სამების ტაძარში შეკრებილ მრევლს მიმართა, რომელიც პატრიარქს გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ ტაძარში დახვდა.

პატრიარქმა ტაძარი მოილოცა, შეკრებლები დალოცა და მრევლს მცირე ქადაგებით მიმართა. ტაძრის მოლოცვის შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქმა ტაძარი დატოვა და საპატრიარქოში გაემგზავრა.

პატრიარქის გერმანიაში მკურნალობასთან დაკავშირებით ჟურნალისტებთან ექიმმა ცისანა შარტავამ კომენტარი გააკეთა. მისი ცნობით, პატრიარქს გერმანიაში კარდიოლოგიური კუთხით გეგმურ-პროფილაქტიკური გამოკვლევა და 18-დღიანი მკურნალობის კურსი ჩაუტარდა. უწმინდესი ბერლინთან ახლოს ბრანდერბურგის ჰოპერგარტენის ერთ-ერთ სარეაბილიტაციო ცენტრში გადიოდა მკურნალობას.

— შედეგები ძალიან კარგი იყო. შევეცდებით, ექიმების მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციები განვახორციელოთ. ზოგადად, მისი მდგომარეობა, დამაკმაყოფილებელი, ძალიან კარგია, — აღნიშნა ექიმმა.

მისივე თქმით, უწმინდესი თავს კარგად გრძნობს, მისთვის ეს ვიზიტი გერმანიაში სამკურნალო და სარეაბილიტაციო კურსის გარდა, ერთგვარი დასვენებაც იყო. ცისანა შარტავამ აღნიშნა, რომ პატრიარქის გამგზავრება თებერვალში იგეგმებოდა, თუმცა, უწმინდესის დატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო ვერ მოხერხდა.

მიშა ოღრაშო, აკი გვპირდებოდი, დაგასვენებთო?!

5

როგორ მზადდებოდა 2008 წლის აგვისტოს ომი

4

მერიის თანამშრომლებმა 300-პროცენტიანი პრემიები გამოიწერეს

2

დღის ამფრაზურიდან

ჩვენმა პარლამენტარებმა სირცხვილის გრძნობა დაკარგეს?!.

— მშიერი ხალხი კიდევ ერთხელ აღგვაშფოთა კანონმდებელთა ახალმა „თაოსნობამ“ პარლამენტართათვის ხელფასის მომატების თაობაზე. რახან პრემიები მოიხსნეს, სამაგიეროდ, ხელფასს იმატებენ. ისე, ზეპირად კი არა, კანონით ამტკიცებენ. ეს წინადადება დეპუტატ ქუცნაშვილს წამოაყენებინეს.3100 ლარი ეცოტავებათ (უფასო ტრანსპორტზე, უფასო მობილურზე და სხვა შეღავათებზე აღარაფერს ვამბობთ!)

მაშ ჩვენ 150 ლარი პენსია როგორ ვიმყოფინოთ, ბარემ იქნებ ესეც გაგვიმარტონ! აი, ხალხზე ზრუნვის კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითი!..

ოცნების ახდენაც ამას ჰქვია!..

გიორგი ცხვარიაშვილი,

პენსიონერი. ქ. თელავი.

ფიროსმანი ხუდადოვის ტყესთან მდებარე საკვადმყოფოს სასაფლაოზეა დაკრძალული



6

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

შეხვედრა ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტთან

საძართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს ჰიუ ბეილის შეხვდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მთავრობის ადმინისტრაციიდან აცნობეს, შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობის საკითხები განიხილეს. საუბარი შეეხო საქართველოსა და ნატოს დაახლოების ფორმატებსა და ამ მიმართულებით მიღწეულ პროგრესს. საუბარი იყო რეგიონში არსებულ ვითარებაზეც.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციაში შედიან ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტები — დანიელ ბაკელენი და კარლ ლამერსი, ასამბლეის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ხულიო მირანდა-კალჰა, ასამბლეის გენერალური მდივანი დევიდ ჰობსი.

◎ ალიანჩალიანი

ნუკრი ქანთარია „ბირჟებით“, „სხადნიაკითა“ და „ობშიაკით“ დაინტერესდა

დეპუტატი ნუკრი ქანთარია შს მინისტრს ურჩევს, ე.წ. ბირჟებს ყურადღება მიაქციოს. „სოფლებში ხშირად მიწევს სიარული. ხალხთან შეხვედრის დროს, ზოგჯერ უჩივიან, რომ ე.წ. ოპერების დონეზე ხდება მიჩქმალვა და არ ხდება წვრილმანი ქურდობის დანაშაულების რეგისტრაცია. მინდა, ამას მიაქციოთ ყურადღება. ასევე უბნის ინსპექტორების დონე მაქსიმალურად უნდა ამაღლდეს. ყურადღება მიექცეს ე.წ. ბირჟებსაც, საიდანაც შესაძლებელია, რომელიმე დანაშაულის ჩადენის იდეა გამოიკვეთოს, — მიმართა ქანთარიამ ოთხი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე ალექსანდრე ჭიკაიძეს.

დეპუტატმა შეკითხვით მიმართა სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის პოსტზე წარდგენილ გიორგი მღებრიშვილს და ციხეებში „სხადნიაკის“ და „ობშიაკის“ საკითხით დაინტერესდა.

— მესმის, რომ სადაც 10-20 და მეტი ადამიანია იზოლირებული, იქ ლიდერი გამოჩნდება და ვიღაცა ვიღაცას აზრს შეეკითხება. ეგ „მაყურებელი“ არ არის, მაგრამ თუ ხდება „სხადნიაკები“, „ობშიაკები“? ჩემი ინფორმაციით, ფული არ ტრიალებს და სოზარმაც სერიოზულად იმუშავა, მაგრამ თუ არის „ობშიაკი“ და „სხადნიაკი“, ეს მართლაც გვაინტერესებს, — განაცხადა ქანთარიამ.

ანტისანიტარიისა და ტექნოლოგიური დარღვევებისთვის რამდენიმე საწარმო დაიხურა

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტირების დეპარტამენტმა კახეთსა და თბილისში კრიტიკული შეუსაბამობების გამო რამდენიმე საწარმო დახურა.

დედოფლისწყაროს რაიონული პოლიკლინიკის მიმდებარე ტერიტორიაზე — ი/მ „დიმა ჩალახეშაშვილის“ და სოფელ ოზაანში — ი/მ „დავით ჩალახეშაშვილის“ რძის პროდუქტების საწარმოებში დარღვეული იყო ტექნოლოგიური პროცესის ნაკადურობა, რძის შენახვისა და დამუშავების ტემპერატურული რეჟიმი; კოროზირებული იყო ნადუღისა და სულგუნის მოსამზადებელი აბაზანა და ორთქლის მიმწოდებელი მილი; საწარმოებში აღმოჩნდა მწერები; ლაბორატორიული ანალიზის შედეგად რძეში გამოვლინდა პათოგენური მიკროორგანიზმები (სალმონელა).

სოფელ გლდანში, შპს „ხორცპროდუქტსერვისის“ კუთვნილ სასაკლაოზე ლაბორატორიული კვლევის შედეგად ხორცში პათოგენური მიკროორგანიზმები (სალმონელა) აღმოჩნდა.

კრიტიკული შეუსაბამობები გამოვლინდა ასევე თბილისში, წინამძღვრიშვილის ქუჩაზე მდებარე შპს „ნიკორა ტრეიდის“ მარკეტში, სადაც დარღვეული იყო რძის პროდუქტების შენახვა-რეალიზაციის სათანადო ტემპერატურული რეჟიმი.

აღნიშნული დარღვევების გამო ი/მ „დიმა ჩალახეშაშვილის“ და ი/მ „დავით ჩალახეშაშვილის“ რძის პროდუქტების საწარმოებს, შპს „ხორცპროდუქტსერვისის“ კუთვნილ სასაკლაოს და შპს „ნიკორა ტრეიდის“ მარკეტს საწარმოო პროცესი შეუჩერდათ და ბიზნესოპერატორები 1000-1000 ლარით დაჯარიმდნენ.

◎ კონტროლი

ვინ რამდენი დახარჯა

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ანგარიში თბილისისა და გორის მერობის კანდიდატთა საარჩევნო ხარჯების თაობაზე

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ პოლიტიკური პარტიების ზოგიერთი საარჩევნო ხარჯის შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა.

ანგარიშში წარმოდგენილია 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ოთხი საარჩევნო სუბიექტის, თბილისისა და გორის მერობის კანდიდატების, ზოგიერთი ხარჯის პარალელური მონიტორინგის შედეგები. კვლევის სუბიექტები იყვნენ თბილისში კახა კუკავა, დიმიტრი ლორთქიფანიძე, ნიკანორ მელია და დავით ნარმანია, ხოლო გორში - ვასილ ბუთხუზი, მამუკა ნოზაძე, არჩილ საბიაშვილი და ზურაბ ჯირკველიშვილი.

ორგანიზაციამ პირველი მაისიდან 14 ივნისის ჩათვლით დაახლოებით გამოითვალა, თუ რამდენი უნდა ყოფილიყო ამ კანდიდატების საარჩევნო კამპანიის ფასიან სატელევიზიო რეკლამასა და გარე რეკლამაზე (ბილბორდებზე) გაწეული ხარჯები. მონიტორინგის თანახმად, ასეთი ხარჯები მხოლოდ „ერთიანი ქართული მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ კანდიდატებმა გაიღეს.

როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ საარჩევნო პროექტის ხელმძღვანელმა ლევან ნატროშვილმა აღნიშნა, მონიტორინგის მიზანი იყო ხარჯების აღრიცხვის კუთხით გამოვლენილიყო სავარაუდო შეუსაბამოებების, ხარვეზებისა და დარღვევების გამოვლენა.

„ჩვენს მიერ დათვლილი ხარჯები შევადარეთ იმ დეკლარაციებს, რაც წარდგენილი არის სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის. რეალურად ერთი პრობლემა გამოიკვეთა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეკლარაციებში, პოლიტიკური სატელევიზიო რეკლამის ხარჯები მითითებული არის გაცილებით უფრო ნაკლები, ვიდრე უნდა იყოს წესით. თვითონ პარტიაშიც აღიარებენ ამას, მათი თქმით, ეს არის ხარვეზი, ისინი აზუსტებენ ინფორმაციას და საბოლოო დეკლარაციაში იქნება ინფორმაცია დაზუსტებული“, — აღნიშნა ლევან ნატროშვილმა.

მისივე თქმით, შესაძლოა, ეს მართლაც იყოს დაუზუსტებელი, არა შეგნებული ხარვეზი, თუმცა, ორგანიზაციის მოსაზრებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ეს საკითხი მაინც უნდა შეისწავლოს.

ანგარიშის თანახმად, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის მერობის კანდიდატმა ნიკანორ მელიამ ფასიანი სატელევიზიო რეკლამა, მონიტორინგის ქვეშ მყოფი 9 ტელეკომპანიიდან, მხოლოდ ორზე, „რუსთავი 2“-სა და „კავკასიაზე“ განათავსა.

ორგანიზაციის გამოთვლით, „ნაციონალური მოძრაობის“ თბილისისა და გორის მერობის კანდიდატებს ფასიან სატელევიზიო რეკლამაზე უნდა დაეხარჯათ დაახლოებით 521 000 ლარი. პარტიას კი საარჩევნო კამპანიის ფინანსურ ანგარიშებზე ამ ტიპის ხარჯზე მითითებული აქვს 196 328 ლარი. რაც შეეხება გარე რეკლამას, ორგანიზაციის გამოთვლებით, საანგარიშო პერიოდში, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ რეკლამის ბილბორდებზე განთავსებაში უნდა დაეხარჯა დაახლოებით 160 000 ლარი.

„ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატმა დავით ნარმანიამ ფასიანი სატელევიზიო რეკლამა განათავსა დაკვირვების ქვეშ მყოფი 9 ტელეკომპანიიდან 4-ზე, კერძოდ „რუსთავი 2“-ზე, „იმედზე“, „ტვ 3“-სა და „კავკასიაზე“.

„ქართული ოცნების“ თბილისისა და გორის მერობის კანდიდატებს ფასიანი სატელევიზიო რეკლამის განთავსებაზე უნდა დაეხარჯათ დაახლოებით 249 000 ლარი, ხოლო ბილბორდებზე დაახლოებით 228 000 ლარი. ორგანიზაციის ინფორმაციით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე „ქართული ოცნების“ დეკლარაციის მიხედვით, „ქართული ოცნების“ სატელევიზიო რეკლამის მთლიანმა ხარჯმა შეადგინა 920 910 ლარი.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ მსგავსი მონიტორინგის განხორციელებას მომავალ არჩევნებზეც გეგმავს.

◎ ესეც ასე!

თხა თხაზე ნაკლებიო?!

მერიის თანამშრომლებმა 300-პროცენტიანი პრემიები გამოიწერეს

თბილისის მერიის სტრუქტურებისა და გამგეობათა ხელმძღვანელი პირების მიერ ივლისის თვეში 100-დან 300 პროცენტის პრემიის აღების შესახებ კომენტარს არ აკეთებს თბილისის ახლად არჩეული მერი, რომელიც თავისი მოვალეობის შესრულებას ოფიციალურად 2 აგვისტოს შეუდგება. მიზეზად კი დავით ნარმანია აღნიშნული ინფორმაციის გადაუმოწმებლობას ასახელებს.

ამ საკითხზე კომენტარს არ აკეთებენ ახლად არჩეული საკრებულოს თავმჯდომარე და საკრებულოს წევრები. For.ge-ს მცდელობის მიუხედავად, საკრებულოს უმრავლესობის წევრები სატელეფონო ზარს არ პასუხობდნენ.

თბილისის მერის მოადგილე პაპუნა პეტრიაშვილი კატეგორიულად უარყოფს ინფორმაციას, რომ თბილისის მერიის საქალაქო სამსახურებში და გამგეობებში თანამდებობის პირებზე 300 პროცენტიანი პრემიები გაიცა.

პეტრიაშვილი ირწმუნება, რომ ეს ინფორმაცია მას ოფიციალურად შეუძლია დაადასტუროს. მისი თქმით, მერიაში პრემიები, მათ შორის მაღალი თანამდებობების პირებზეც და თანამშრომლებზეც, ყოველთვის დამსახურების მიხედვით გაიცემოდა.

„არ გიდასტურებთ ამ ინფორმაციას. ეს არის მორიგი ტყუილი. მერიაში ამ თვეში 300-პროცენტიანი პრემიები არ გაცემულა, საიდან გავრცელდა ეს ინფორმაცია, სიმართლე გითხრათ, მიკვირს. მერიაში მიმდინარე თვეს დარიგდა დანამატები, როგორც ეს რიგდებოდა წინა თვეებში. 300-პროცენტიანი პრემია არ ყოფილა და მით უმეტეს ყველა თანამშრომელზე. მერიის ზოგიერთი თანამშრომელი ჩემზე ნაწყენიც კი დარჩა იმის გამო, რომ თუ საკრებულოს წევრებმა დაირიგეს 300-პროცენტიანი პრემიები, ჩვენ რითი ვართ მათზე ნაკლებიო. თხოვნაც კი იყო, რომ დაგვერიგებინა, მაგრამ ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავით“, — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას პეტრიაშვილმა.

კითხვაზე, რამდენ თანამშრომელზე და რა რაოდენობის პრემია გაიცა, პეტრიაშვილი ამბობს, რომ ივლისის თვეში პრემია ისევე გაიცა, როგორც გაიცემოდა სხვა თვეებში. მისი თქმით, საქალაქო სამსახურებს და გამგეობებს აქვთ შრომის ანაზღაურების ფონდის 15-პროცენტიანი ლიმიტები და, შესაბამისად, თავად წყვეტენ სამსახურის უფროსები და გამგებლები, ვის ეკუთვნის პრემია და ვის არა.

„ასეთი პრინციპით გაიცა ივლისის თვეში პრემიები და არაფერი განსხვავებული არ ყოფილა. როგორც ჩანს, მოლოდინი იყო იმისა, რომ რადგან ძველი გუნდი მიდის, დაირიგებდნენ ამ რაოდენობის პრემიებს, ალბათ, ამიტომ გავრცელდა ეს ინფორმაცია. თანამშრომლების ნაწილმა პრემიები მიიღეს იმიტომ, რომ სხვებზე მეტი იმუშავეს, სხვებზე მეტი დაიმსახურეს, მაგრამ ეს არ ყოფილა 300 პროცენტი და მით უმეტეს ყველა თანამშრომელზე. პირადად მე ივლისის თვეში პრემია არ ამიღია“, — აღნიშნა პაპუნა პეტრიაშვილმა.

პეტრიაშვილის მტკიცების მიუხედავად, გამგეობის თანამშრომლები ამბობენ, რომ მერთან და გამგებლებთან დაახლოებულმა პირებმა ნამდვილად აიღეს 300-პროცენტიანი პრემია.

საკრებულოს უმცირესობის წევრი თამარ ცინცაბაძე თვლის, რომ იმ ქვეყანაში, სადაც ბავშვები შიმშილით კვდებიან, არ შეიძლება სახელმწიფო მოხელემ პრემიებზე იფიქროს.

„ხშირად ვისმენ, რომ თურმე კარგი მუშაობისთვის იღებენ პრემიას, კარგი მუშაობისთვის არის ხელფასი, ეს არის უსუსური განმარტება. ჩვენს ფრაქციას გვინდოდა, რომ საკრებულოს რეგლამენტში ასახულიყო, რომ ჩვენ არასდროს არ ავიღებთ პრემიას. შენ აგირჩია ხალხმა და კარგი მუშაობისთვის გიხდიან ხელფასს. მერიის თანამშრომლებემა განსაკუთრებული რამე თუ გააკეთეს, ეს ხალხზე უნდა ასახულიყო, აისახა რამე ჩვენს მაცხოვრებლებზე? — არა. შესაბამისად, არ არსებობს არანაირი განმარტება, რომელიც პირადად ჩემთვის იქნება მისაღები“, — აღნიშნა თამარ ცინცაბაძემ.

ნანა სანიკიძე

◎ დიდი როქი ბიზნესის ხელში ჩასაგდებად

„112“ - კერძო კომპანიების წინააღმდეგ?

ავტოსაგზაო შემთხვევის დროს საევაკუაციო მომსახურება გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრის -„112“-ის დაქვემდებარებაში გადავიდა. შპს „სერვის ცენტრს“ კი, რომელიც 2006 წლიდან ამ მომსახურებას ახორციელებდა, ხელშეკრულება გაუუქმდა. როგორც „112“-ში აცხადებენ, ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზი „სერვის ცენტრის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა გახდა. „სერვის ცენტრში“ კი ფიქრობენ, რომ ხელშეკრულების გაუქმების ობიექტური მიზეზი არ არსებობდა. ფაქტი ერთია — იქ, სადაც აქამდე კერძო კომპანია ოპერირებდა, ახლა სახელმწიფო უწყება შედის მოთამაშედ.

„2006 წლიდან, საპატრულო პოლიციასა და შპს „სერვის ცენტრს“ შორის ყოველგვარი შერჩევისა და კონკურსის გარეშე გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც სატრანსპორტო საშუალებების გადაყვანა „სერვის ცენტრის“ სპეციალურ დაცულ სადგომებზე ხდებოდა. 2011 წლის 30 მარტს შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და შპს „სერვის ცენტრს“ შორის გაფორმდა ახალი ხელშეკრულება, რომლის თანახმად, შპს „სერვის ცენტრი“ იღებდა ვალდებულებას, მოეწყო მომსახურებისთვის საჭირო 100 კვ.მ-მდე შუშის გამჭვირვალე, კეთილმოწყობილი შენობა და შესანახად გადაცემული სატრანსპორტო საშუალებების განთავსებისთვის 5000 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელსაც ასფალტის საფარი ექნებოდა. ამასთან, შპს „სერვის ცენტრი“ იღებდა ვალდებულებას, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ გადაცემული შეტყობინების საფუძველზე, უზრუნველეყო ადგილზე ოპერატიულად გამოცხადება (არა უმეტეს 15 წუთისა, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა დამატებითი ტექნიკის მობილიზაცია, არა უმეტეს 30 წუთისა) და ავტომანქანის სპეციალურ სადგომზე გადაყვანა. თუმცა, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში კომპანიამ ვერ უზრუნველყო ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, კერძოდ, არ არსებობდა მომსახურებისთვის საჭირო კეთილმოწყობილი შენობა, მიწის ფართობი იყო ბევრად მცირე და არ არსებობდა ასფალტის საფარი. შპს „სერვის ცენტრი“ რეგულარულად აგვიანებდა ადგილზე გამოცხადებას 20-35 წუთით, რაც ხელს უშლიდა ავტოსატრანსპორტო საშუალებების თავისუფალ და უსაფრთხო გადაადგილებას ქალაქის ტერიტორიაზე და ქმნიდა საცობებს. შპს „სერვის ცენტრის“ მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, მიმდინარე წლის 15 მაისიდან ხელშეკრულება შეწყდა,“ — აცხადებენ „112“-ში.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობას კატეგორიულად უარყოფს „სერვის ცენტრის“ დამფუძნებელი დიმიტრი გოგიჩაიშვილი და ამბობს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პუნქტს აკმაყოფილებდნენ და ვერაფერით გაუგია, რის საფუძველზე შეწყვიტა სახელმწიფომ მის კომპანიასთან თანამშრომლობა.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შეკვეთების გარდა, „112“ მომსახურებას ფიზიკურ პირებსაც გაუწევს. რითი იქნება უკეთესი საევაკუაციო მომსახურების „112“ -ის მიერ განხორციელება კერძო კომპანიებთან შედარებით, ამ კითხვაზე „112“-ში ასე პასუხობენ:

„შესაძლებელი იქნება ერთიანი ცნობადი ნომრიდან, შეუფერხებლად, ევაკუატორებით დახმარების სერვისის გამოძახება. მნიშვნელოვანია, რომ ნომერზე დარეკვა შესაძლებელია, როცა ტელეფონზე არ არის ბალანსი და ტელეფონში არ დევს სიმბარათი. სერვისი ხელმისაწვდომია დღის განმავლობაში 24 საათის მანძილზე. საჯარიმო ავტოსადგომები აკმაყოფილებს ევროპულ სტანდარტებს. გამოძახების მომენტიდან მოხდება ოპერატიული რეაგირება. მძღოლები აღჭურვილები არიან სპეციალური რაციებით, რომლის საშუალებით პირდაპირ კავშირზე არიან 112-ის დისპეტჩერებთან. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ტრანსპორტირების მანძილის ათვლის საფასური იწყება ინციდენტის ადგილზე ევაკუატორის გამოცხადებიდან დანიშნულების ბოლო წერტილამდე. ხალხს მოემსახურებიან სტაჟიანი, მაღალკვალიფიციური, გამოცდილი მძღოლები“.

რაც შეეხება სატარიფო მომსახურებას, როგორც „112“-ში ამბობენ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით და მთავრობის დადგენილებით, განისაზღვრა საჯარიმო სადგომზე გადაყვანისა და დგომის ერთიანი, შეღავათიანი საფასური, რაც ბაზარზე არსებულ ტარიფზე 50% -ით ნაკლებია.

„112“-ის მიერ მომსახურების გაწევისთვის საჭირო ამჟამინდელი ტარიფები ასეთია: გამოძახების ფიქსირებული საფასური — 30 ლარი. თავად სერვისის ღირებულება განისაზღვრება შემდეგი ტარიფებით: ქალაქის მასშტაბით — ობობას ტიპის დიდი ევაკუატორი 1 კმ - 4 ლარი; მოძრავი და ფიქსირებულპლატფორმიანი ევაკუატორი 1 კმ - 3 ლარი. ქალაქგარეთ: ობობას ტიპის დიდი ევაკუატორი 1 კმ — 2 ლარი, მოძრავი და ფიქსირებული პლატფორმიანი ევაკუატორი 1 კმ — 1 ლარი. პარკინგის დღიური საფასური: მოტოციკლი — 4ლ; სედანი/ჯიპი-8ლ; მიკროავტობუსი/ავტობუსი — 10ლ; სატვირთო/ტრაილერი — 14ლარი (6-დან 30 დღემდე ყველა ეს ტარიფი ნახევრდება, ხოლო 30 დღის შემდეგ განუსაზღვრელი ვადით საფასური ჩამოდის 1 ლარზე).

ჩნდება კითხვა სახელმწიფოს მიერ ამ სექტორში მოთამაშედ შესვლა, შეუქმნის თუ არა პრობლემებს კერძო სექტორს და უნარჩუნდება თუ არა კონკურენტუნარიანი გარემო?

როგორც ეკონომიკის ექსპერტი ირაკლი ლექვინაძე bpn-თან საუბარში აცხადებს, ძალიან ფრთხილი გადაწყვეტილებები და სწორი ანალიზია საჭირო.

„ხშირია შემთხვევები ბოლო პერიოდში, როდესაც სახელმწიფოს შეთავსებული აქვს ბიზნესის ფუნქციები და ბაზარზე გამოდის, როგორც მოთამაშე. ძალიან ბევრი სფეროა ასეთი, თუნდაც ბევრი საჯარო იურიდიული პირი ამის კარგი მაგალითია. ეს არის ერთი შეხედვით სხვა მიზნებით გამართლებული. თუმცა, სინამდვილეში ჩვენ ვღებულობთ ბაზარზე სახელმწიფო ორგანიზაციის სახით მოთამაშეს, რომელსაც გარკვეული პრივილეგიები აქვს. ამიტომ ნებისმიერ სფეროში ძალიან ფრთხილი გადაწყვეტილებები და სწორი ანალიზია საჭირო. მაგალითად, თუ იმ სფეროში, სადაც კერძო სექტორი ვერ ახერხებს სერვისების წარმოებას და ეს სერვისები გარკვეული ადამიანებისთვის მნიშვნელოვანია, მარტო აქ უნდა იყოს სახელმწიფო აქტიური. სხვა ნებისმიერ სექტორში სახელმწიფოს შესვლა არის აბსოლუტურად გაუმართლებელი. რატომღაც ხშირ შემთხვევაში არის ხიბლი იმის, რომ სახელწიფო ორგანიზაციები აკეთებდნენ ბიზნესს გარკვეული პრივილეგირებული მდგომარეობით. ეს არის პირდაპირ დარღვევა კონკურენციული პრინციპების, რომელიც გრძელვადიან პერიოდში გარკვეულ ხარვეზებს იწვევს,“ — აცხადებს ლექვინაძე.

ევაკუატორებით ავტომობილის გადაყვანის სერვისს მოქალაქეებს, კიდევ რამდენიმე მცირე კომპანია და ფიზიკური პირი სთავაზობს. როგორც ისინი ამბობენ, ბაზარზე „112“-ის შესვლის შემდეგ შეკვეთები მნიშვნელოვნად შეუმცირდათ და ძლიერი კონკურენტის გამოჩენის შემდეგ ბაზრიდან გაქრობის საფრთხე ემუქრებათ.

„112“-ში კი მიიჩნევენ, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ხელს არ შეუშლის კონკურენციას.

„ბაზარზე არსებულ კომპანიებს სრული უფლება აქვთ, მომსახურება შესთავაზონ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს და იყვნენ კონკურენტუნარიანები,“ — აცხადებენ „112“-ში.

გიორგი მუშკუდიანი

◎ გენმოდიფიცირებული პროდუქცია

მოიპარია, კაცი მშიერი არ იყოს?..

რამდენიმე დღეც და, იმის დადგენას შევძლებთ, თუ რამდენად უსაფრთხო კვების პროდუქტებს ვყიდულობთ ახლა ათასნაირ „მარკეტებად“ მონათლულ უწინდელ სასურსათო მაღაზიებსა თუ ბაზრობებზე.

პირველი აგვისტოდან საქართველოში გენმოდიფიცირებული პროდუქციის სავალდებულო მარკირების წესი ამოქმედდება, რაც იმას ნიშნავს, რომ კვების პროდუქტების ადგილობრივ მწარმოებლებსა და იმპორტიორებს კვების პროდუქტის ეტიკეტზე მის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის განთავსება მოუწევთ. აღნიშნული მოთხოვნის ოფიციალურად ამოქმედების შემდეგ, როგორც ჩანს, მომხმარებლისთვის სავსებით ცხადი გახდება, თუ რომელი პროდუქტია გენმოდიფიცირებული და რომელი — ნატურალური, რისი გარკვევა მანამდე, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო.

ფინანსთა სამინისტროს მხარდაჭერით, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ კვების პროდუქტებზე ადგილობრივ მეწარმეთათვის გარკვეული საინფორმაციო კამპანია ჩაატარა, მწარმოებლებს ახალი წესის ამოქმედებასთან დაკავშირებული მოთხოვნები გააცნო, ეს პროცესი თვის დამლევამდეც გაგრძელდება.

ექსპერტების აზრით, ვიდრე კვების პროდუქციის გენმოდიფიცირების თაობაზე აუცილებელი ინფორმაციის დართვის მოთხოვნა რეალურად არ ამოქმედდება, მანამდე ძნელი სათქმელია, თუ რამდენად აისახება ეს იმპორტირებული კვების პროდუქტების გასაღებაზე. ისინი იმასაც აღნიშნავენ, რომ უცხოური გენმოდიფიცირებული პროდუქციის გაყიდვები (მისი წილი კი ადგილობრივ ბაზარზე, არაოფიციალური მონაცემებით, 80 პროცენტს ჭარბობს(!), არ დაიკლებს იმ მარტივი მიზეზით, რომ, დაბალი ხარისხის მიუხედავად, ასეთი პროდუქცია შედარებით იაფი ღირს, რაც ქვეყნის გაჭირვებული მოსახლეობისთვის არჩევანის გაკეთებისას უმნიშვნელოვანესი გადამწყვეტი ფაქტორია.

ახალი რეგულაციის შესაბამისად, კვების პროდუქტზე დაკრულ ეტიკეტზე ქართულ ენაზე მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა საქონელი გენმოდიფიცირებულ დანამატებს. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობისთვის დამრღვევ მეწარმეს 500-ლარიანი ჯარიმის გადახდა დაეკისრება და, როგორც ჩანს, სასჯელის გასამძაფრებლად, ასევე კანონის უგულებელყოფის აღსაკვეთად, გათვალისწინებულია პროდუქციის სავაჭრო ქსელიდან ამოღებაც.

ამჟამად სურსათის სააგენტოს მიერ სხვადასხვა დასახელების კვების პროდუქტია გაგზავნილი ლაბორატორიული შემოწმებისთვის, რისი მიზანი მათში გენური ინჟინერიის გამოყენებით მიღებული მინარევების არსებობაა, თუმცა, დღესდღეობით მიღებული ყველა პასუხი უარყოფითია. მათ შორის, ცალკე აღსანიშნავია სიმინდზე დამზადებული, თავად სიმინდისა და სოიოს ბავშვთა კვების

გენმოდიფიცირებული უსაფრთხოება. ამ უკანასკნელს ხაზს იმიტომ ვუსვამთ, რომ **უცხოური წარმოების ბავშვთა კვების პროდუქტები ხშირად გენური ინჟინერიის გამოყენებით მიღებულ დანამატებს შეიცავს, რის თაობაზე მშობლები ინფორმირებული არ არიან და ამით თავიანთ პატარებს გარკვეულ საფრთხეს უქმნიან.** არადა, ბავშვთა კვების გარდა, უცხოური წარმოების სხვა პროდუქტებიც საკმაოდ გაჯერებულია გენმოდიფიცირებული დანამატებით. მათ შორისაა **რძე და რძის პროდუქტები, ხორცი და მისი ნაწარმი, ტკბილეული და ნამცხვარი.** თუ რა შედეგს გამოიღებს ახალი წესის ამოქმედება, ყოველ შემთხვევში პირველ ხანებში მაინც, ამის გამოცნობა ძნელი არ არის: ხალხი, ინერციით, ისევ ნაცნობი პროდუქტების ყიდვას განაგრძობს, თუმცა კი, თუ ეს კვების პროდუქტები ნატურალური პროდუქციით ჩაინაცვლება და ფასიც დიდად არ მოიმატებს, სავსებით შესაძლებელია, რომ დროთა განმავლობაში გენმოდიფიცირებული პროდუქციის წილი შიდა ბაზარზე საგრძნობლად შემცირდეს.

თუმცა კი, ამის იმედი მაინც ნაკლებად უნდა გვქონდეს, რადგან გენმოდიფიცირებული ინჟინერიის დანამატებით დამზადებულ და ნატურალური კვების პროდუქტების ფასებს შორის განსხვავება მთელ მსოფლიოში საკმაოდ დიდია. სამაგიეროდ, **გენმოდიფიცირებული პროდუქციის სავალდებულო მარკირებას თუნდაც ის დადებითი მხარე აქვს, რომ მომხმარებელი სათანადოდ ინფორმირებული იქნება და, სხვა თუ არაფერი, საჭიროების შემთხვევაში არჩევანის შესაძლებლობა მაინც ექნება.** თავისთავად ცხადია, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქციის გაყიდვის დონე მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის პროპორციულად შემცირდება, თუმცა, წლების მანძილზე მიღებული მწარე გამოცდილება ამის ახლო მომავალში განხორციელების იმედს ნაკლებად გვიტოვებს. თანაც, ამ სეგმენტს თავისი მომხმარებელი მაინც მუდამ ეყოლება ისევე, როგორც ეს მსოფლიოს სხვა ქვეყნებშია.

ოთარ ტურაბელიძე

რიგრიგ ეჯალდებოდა 2008 წლის აგვისტოს ომი

ამრიგად, სრულიად აშკარაა, რომ ომისთვის ემზადებოდა ორივე მხარე და ამისთვის მათ თავისი მიზეზები გააჩნდათ. **რუსეთის მხრივ ომის უმთავრესი მიზეზი ამ ქვეყნის გეოპოლიტიკური ინტერესი იყო: ის ხედავდა, რომ საქართველოს დასავლეთისკენ ეჭირა თვალი და ამას ვერ ეგუებოდა. ერთი რუსი მაღალჩინოსნის თქმით, რუსეთის კონკრეტულ მიზნებს ამ ომში შეადგენდა: 1. სრული კონტროლის დამყარება სამხრეთ ოსეთში; საქართველოს მიერ კონტროლირებული ცალკეული კერების აღმოფხვრა და მათ გარშემო უსაფრთხოების კერების შექმნა; 2. აფხაზური ხელისუფლების დახმარება უბირატესად ქართველებით დასახლებული გალის რაიონის სრულად გასაკონტროლებლად და ქართული ძალების გამოდევნა კოდორის ხეობიდან; 3. რუსეთის მიერ კონტროლირებადი უსაფრთხოების ზონის შექმნა აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის საზღვრის დასავლეთ მხარეს – ზუგდიდის გარშემო; 4. საქართველოს იძულება ძალის გამოყენებაზე უარის თქმის ოფიციალურ დოკუმენტზე ხელმოსაწერად; 5. სააკაშვილის დამცირება და საქართველოს შიგნით მისი მუდმივი წნეხის ქვეშ ყოლა, რათა საბოლოოდ მასაც მილოშევიჩის ბედი გაეზიარებინა; 6. საქართველოს ნატოში ოდესმე გაწევრიანების ყველა შესაძლებლობის მოსპობა:**

ომისთვის, ოღონდ არა რუსეთთან, არამედ ოს და აფხაზ სეპარატისტებთან, ემზადებოდა ქართული მხარეც. სააკაშვილის გუნდი იმედოვნებდა, რომ ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებას ძლევამოსილი კავალერისტული მისტომით, ბლიც-კრიგის გზით მოახერხებდა. ამ მოსაზრებას მას შემდეგი მოტივები განუმტკიცებდა: 1. აჭარის პრობლემის უსისხლოდ გადაწყვეტა, რომლის დროსაც რუსეთი საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და მის რეგიონს შორის დაპირისპირებაში არ ჩაერია; 2. ბოსნიაში ომის დროს ზაგრების მიერ განხორციელებული ოპერაცია „გრიგალის“ წარმატება, რომლის შედეგადაც ხორვატიამ დაკარგული მიწები დაიბრუნა, ნატომ კი, დაინახა, რომ ახალი რეალობა კონფლიქტის დარეგულირებას უწყობდა ხელს და ეს არ გააპროტესტა; 3. სააკაშვილისთვის იდეა-ფიქსად ქცეული „მსოფლიოს ფაქტის წინაშე დაყენება“; 4. სააკაშვილისა და მისი გუნდის რწმენა, რომ დასუსტებული და დამბლადაცემული რუსეთი საქართველოს ამ ნაბიჯზე ადეკვატურ რეაგირებას ვერ მოახერხებდა; 5. რუსეთის სახელისუფლებო ვერტიკალიდან განზრახ „გაჟონილი“ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ რუსეთს „სამხრეთ ოსეთი აღარ აინტერესებდა“; 6. საქართველოს მაშინდელ ხელმძღვანელებს სწამდათ, რომ აშშ-ის ადმინისტრაციაში უკეთეს მოკავშირეს, ვიდრე ბუშის ადმინისტრაცია იყო, ვეღარ ეღირსებოდნენ, ამიტომ ფიქრობდნენ, რომ გადამწყვეტ მოქმედებებზე გადასვლა ახლა სჯობდა; 7. 2008 წელს სააკაშვილის იდეას ბლიც-კრიგის მოწყობის თაობაზე ერთი სერიოზული მოტივიც დაემატა: 2008 წლის ხუთი იანვრის არჩევნებში მან ხმების მხოლოდ 53 პროცენტი აიღო.

რა ვითარება იყო კონფლიქტის ზონაში უშუალოდ ომის წინ?

ივნისის შუა რიცხვებში გახშირდა თავდასხმები და ურთიერთსროლა, მათ შორის მძიმე არტილერიის გამოყენებით. იყვნენ დაჭრილები და დაღუპულები ორივე მხრიდან, ინგრეოდა სახლები. ეუთოს 4 აგვისტოს ანგარიშში ნათქვამია, რომ 1 აგვისტოს შემდეგ გამართული ბრძოლები ყველაზე სასტიკი იყო ბოლო 4 წლის განმავლობაში. 29 ივლისიდან 7 აგვისტომდე დაიჭრა 6 ქართველი პოლიციელი, 11 სამშვიდობო ქვეგანაყოფის ჯარისკაცი, 14 სამოქალაქო პირი. 7 აგვისტოს დაიღუპა 2 ქართველი ჯარისკაცი, კიდევ ორი მიღებული ჭრილობებისგან მოგვიანებით გარდაიცვალა.

მსხვერპლი იყო ოსურ მხარესაც.

ქართულ მხარეს მოეპოვებოდა ცნობები ოს სეპარატისტებთან რუსი სამშვიდობოების კოორდინირებული მოქმედების შესახებ. სააკაშვილი ხედავდა, რომ ოსები სწორედ რუსების კარნახით და დახმარებით მოქმედებდნენ. ამიტომაც, მას უშუალოდ ომის წინ რუსების მხრივ ნეიტრალიტეტის დაცვის ილუზია გაუქრა. სააკაშვილს, ცხადია, ესმოდა, რომ ომში რუსეთის აქტიური ჩარევის შემთხვევაში გამარჯვების არანაირი შანსი არ არსებობდა. საქართველოს პრეზიდენტი ამაოდ ცდილობდა თავის რუს კოლეგასთან დაკავშირებას. 6-7 ივლისს ყაზახეთში, ასტანას დაარსების 10 წლისთავის საზეიმო ღონისძიებებზე ჩასულმა სააკაშვილმა სადილობისას როგორც იქნა დაიმარტოხელა მედვედევი და სამიტის თითქოსდა, წინასწარ შეთანხმებული იდეის პრაქტიკული რეალიზაციის დაჩქარება სთხოვა. მედვედევმა პირდაპირ პასუხს თავი აარიდა - საქართველოს პრობლემა მე არ შემიქმნია, მემკვიდრეობით მერგოო, რითაც აშკარად მიანიშნა - ეგ ამბავი ჩემი თავსატკივარი არ არისო. მერე ისიც დაამატა, ახლა ასეთი სამიტის გამართვა ნაჩქარევი გამოვა და კონკრეტულ შედეგებს ვერ მივიღებთ, რაც ხალხის იმედგაცრუებას გამოიწვევსო. როდესაც სააკაშვილმა უთხრა – ამაზე უარესი რაღა უნდა მოხდესო, მედვედევმა მიუგო: ბევრად უარესიცაა შესაძლებელიო და საუბარი ამით დაასრულა.

მშვიდობის შენარჩუნებით დაინტერესებული მხარე ყველა საშუალებას უნდა იყენებდეს მეორე მხარესთან მოლაპარაკებისთვის, რუსეთის ხელმძღვანელობა კი ყველანაირად არიდებდა თავს ქართულ მხარესთან შეხვედრას. თვით 7 აგვისტოსაც კი, როდესაც სააკაშვილმა უკანასკნელად სცადა დიპლომატიური არხებით აეცილებინა თავიდან მსხვილმასშტაბიანი ომი და რეინტეგრაციის მინისტრი თემურ იაკობაშვილი რუსეთის საგარეო საქმეთა სპეციალურ წარმომადგენელთან - იური პოპოვთან წინასწარ შეთანხმებულ მოლაპარაკებაზე ცხინვალში მიავლინა, ეს უკანასკნელი შეხვედრაზე არ გამოცხადდა, ამის მიზეზად კი, იაკობაშვილთან სატელეფონო საუბარში, საბურავის დაშვება დაასახელა.

იაკობაშვილის კითხვაზე კი, თუ რატომ არ დააყენა სათადარიგო საბურავი, პოპოვმა უპასუხა - ისიც დამეშვაო. იმავე დღეს იაკობაშვილთან კულახმეტოვმა აღიარა, რომ სროლები ქართული სოფლების მიმართულებით მართლაც რუსი სამშვიდობოების ახლომდებარე ტერიტორიიდან მიმდინარეობდა. მან ისიც თქვა, რომ „ოსები გამოვიდნენ მისი კონტროლიდან“.

6-7 აგვისტოს სააკაშვილი ამაოდ ცდილობდა მედვედევთან დაკავშირებას, რუსეთის პრეზიდენტი სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა.

ვფიქრობ, ეს ფაქტები უტყუარად გვიჩვენებენ, თუ ვინ იყო დაინტერესებული მოცემულ მომენტში ომის გაჩაღებით.

სააკაშვილმა ომის თავიდან აცილების უკანასკნელ საშუალებას მიმართა: 7 აგვისტოს 19 საათზე ცეცხლის ცალმხრივად შეწყვეტა გამოაცხადა. პარალელურად გრძელდებოდა ქართული შეიარაღებული ძალების წაწევა კონფლიქტის ზონის მიმართულებით. ეს გარემოება საფუძველს აძლევს რუსულ მხარეს ამტკიცოს, რომ სააკაშვილის მხრივ ცეცხლის ცალმხრივი შეწყვეტა სინამდვილეში მოწინააღმდეგის სიფხიზლის მოდუნებას ისახავდა მიზნად. მაგრამ რატომ არ გამოეხმაურნენ რუსული და ოსური მხარეები სააკაშვილის ამ ინიციატივას? რატომ არ თანხმდებოდნენ ისინი ქართულ მხარესთან მოლაპარაკებების გამართვას, სადაც შეეძლოთ თავიანთი პრეტენზიების წამოყენება? ცხადია, იმიტომ, რომ ვითარების განმუხტვა მოსკოვის გეგმებში არ შედიოდა!

20 სთ-სა და 30 წთ-ზე სააკაშვილს მერაბიშვილმა დაურეკა და აცნობა, რომ ქართული სოფლების დაბომბვა არ შეწყვეტილა. „სროლით არ უპასუხოთ“, - იყო სააკაშვილის პასუხი. დაახლოებით თერთმეტის ნახევარზე სააკაშვილს ტელეფონით კეზერაშვილი ესაუბრა. მისი თქმით, ქართულ სოფლებს კვლავაც უშენდნენ ცეცხლს მძიმე არტილერიით. ცეცხლი გაუხსნეს ქართველ სამშვიდობოებსაც, რომელთა შორის არიან დაჭრილები და დაღუპულები. თუ ჩვენ საპასუხო ცეცხლს არ გავხსნით, დაჭრილების გამოყვანასაც კი ვერ შევძლებთო. სააკაშვილმა ამოიოხრა და კვლავ იგივე ბრძანება გასცა: „არ უპასუხოთ!“

სააკაშვილი ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა. მოქმედება, რუსებისთვის წინააღმდეგობის გაწევა, თავიდანვე წარუმატებლობისთვის იქნებოდა განწირული. დასავლელი მეგობრები, მათ შორის პირადად ჯორჯ ბუშიც, მას მუდმივად არწმუნებდნენ რუსეთთან ომის წამოწყების სრულ უპერსპექტივობაში. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე დენ ფრიდი სახელმწიფო დეპარტამენტში სტუმრად მყოფ ქართულ დელეგაციას პირდაპირ ეუბნებოდა: „იქ (აფხაზეთში) თუ შეხვალთ, შეიძლება პირველი ბრძოლა მოიგოთ, იქნებ - მეორეც. მაგრამ ეს თქვენთვის უკანასკნელი გამარჯვება იქნება! რუსეთი აუცილებლად ჩაერევა და სულ სიმღერ-სიმღერით მოამთავრებს საქმესო“.

მაგრამ, უმოქმედობა და უბრძოლველად უკან დახევაც არ იყო გამოსავალი. **სააკაშვილს ესმოდა, რომ ამ შემთხვევაში ის, როგორც პრეზიდენტი, თანამდებობას ვერ შეინარჩუნებდა, რადგან ქართველი ხალხი არც ერთ პრეზიდენტს არ აპატიებდა უმოქმედობას და უბრძოლველად ტერიტორიების დაკარგვას. მას ისიც სწამდა, რომ ასეთ შემთხვევაში საქართველო, როგორც დამოუკიდებელი საგარეო-პოლიტიკური მოთამაშე, არსებობას შეწყვეტდა.**

აი, ასეთ რთულ ვითარებაში სააკაშვილმა ადეიშვილთან, უგულავასთან, ლომაიასთან, მერაბიშვილთან და კეზერაშვილთან ერთად მიიღო გადაწყვეტილება ფართომასშტაბიანი შეტევითი ოპერაციის დაწყების შესახებ.

ცხადია, სააკაშვილისა და მისი გუნდის ეს გადაწყვეტილება, პირველ რიგში, სასოწარკვეთილი პასუხი იყო რუსეთისა და მის მიერ წაქეზებული ოსი სეპარატისტების აგრესიაზე. **საქართველო, როგორც ასმუსი წერს, იმ პატარა ბიჭს ჰგავდა, რომელმაც წარამარა თავში წათაქებები ვეღარ აიტანა და ვიღაც მასზე ასაკოვან მუტრუკს შეუბრუნა ხელი. თუმცა, სააკაშვილის გადაწყვეტილება გარკვეულ ლოგიკას და გათვლებსაც ეფუძნებოდა: ყველაფრის მიუხედავად, სააკაშვილი იმედოვნებდა, რომ სეპარატისტებთან ქართული სახელმწიფოს ომში რუსული მხარე ამჯერადაც ნაცადი მეთოდით – ჩრდილოკავკასიელი ბოევიკების შემოგზავნით, ინსტრუქტორებით და იარაღით მიიღებდა მონაწილეობას. რუსეთის რეგულარული ჯარი კი ღიად და აშკარად ამ ბრძოლაში არ ჩაერეოდა. კოკოითის უდღეური დაჯგუფების წინააღმდეგობას ქართული ჯარი უმოკლეს დროში დაძლევდა და სეპარატისტული რეგიონის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს თავის კონტროლს დაუქვემდებარებდა. საერთაშორისო თანამეგობრობის ზეწოლით ერთ კვირაში, მაქსიმუმ – ათ დღეში საბრძოლო მოქმედებები შეწყდებოდა. ქართული მხარე დათანხმდებოდა დაკავებული ტერიტორიებიდან გამოსვლას იქ ნეიტრალური სამშვიდობო ძალების ჩაყენების პირობით.**

ამრიგად, საქართველო მიაღწევდა მიზანს, რომლისკენაც დიდი ხნის მანძილზე ამაოდ მისწრაფოდა.

უნდა ითქვას, რომ იმ დროისთვის მის ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით სააკაშვილის მიერ გაკეთებულ ამ ანალიზში გარკვეული ლოგიკა მართლაც არის. **მაშინ ცოტა ვინმე თუ ფიქრობდა, რომ მოსკოვი ტაქტიკას შეიცვლიდა და ქართულ-ოსურ თუ ქართულ-აფხაზურ წინა დაპირისპირებებში აპრობირებული პრაქტიკის საწინააღმდეგოდ, როცა ის ნახევრად ფარულ დახმარებას უწევდა სეპარატისტებს, ამჯერად ღიად, ყოველგვარი შენიღბვის გარეშე, რეგულარული ჯარით შეიჭრებოდა სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე.** მით უმეტეს, მსოფლიოში არც ერთი ექსპერტი არ უშვებდა იმის შესაძლებლობას, რომ რუსული ჯარი გასცდებოდა კონფლიქტის ზონას და საფრთხის ქვეშ თვით საქართველოს დედაქალაქის უსაფრთხოება დადგებოდა. დასავლეთს უჭირდა წარმოდგენა, რომ რუსეთი ასეთ მწვავე რეაგირებას მოახდენდა კოსოვოს პრეცედენტზე. და ეს არა იმიტომ, რომ გადაჭარბებულად კარგი წარმოდგენის იყვნენ რუსეთის ხელმძღვანელების ზნეობაზე, უბრალოდ, თვლიდნენ, რომ რუსებს ეყოფოდათ პრაგმატიზმი, არ გადაედგათ მათთვის ასეთი წამგებიანი ნაბიჯი. საქართველოზე აშკარა თავდასხმით რუსეთი საჯაროდ დააფიქსირებდა თავს, როგორც კონფლიქტის მხარე, რასაც, წესით, ის უნდა მორიდებოდა.

დასავლეთის გათვლები ამჯერადაც მცდარი აღმოჩნდა. **რუსეთმა მაინც გადადგა ეს ნაბიჯი სულ მცირე, ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, ამით მან დასავლეთს აჩვენა, რომ სამხრეთ კავკასიაში თავისი გავლენის შესანარჩუნებლად ის ყველაზე რადიკალური ქმედებისთვისაც კი მზად არის; მეორეც, საქართველოს მიერ უკანასკნელ წლებში ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ გადადგმული წარმატებული ნაბიჯები მას სხვა გამოსავალს აღარ უტოვებდნენ.**

საქართველოს ხელმძღვანელობა კიდევ ერთხელ გაება რუსულ მახეში. თავისი წინდაუხედავი, ბოლომდე გაუთვლელი ქმედებებით სააკაშვილი, უნდოდა თუ არა ეს მას, პუტინის საქმეს აკეთებდა. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში ამერიკელ პოლიტოლოგ ლინკოლნ მიტჩელს, როდესაც ამბობდა: „თუ რუსეთს სააკაშვილის მსგავსი მტრები ჰყავს, მაშინ რაღაში სჭირდება მას მეგობრები?“ – თუმცა, საქმის ისე წარმოდგენა, თითქოს, პუტინ-მედვედევის პროვოცირება სააკაშვილის გაუაზრებელი, ავანტიურისტული ქმედებების შედეგი იყოს, როგორც ამის დამტკიცებას ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი ცდილობს, აშკარა შეცდომაა.

და მაინც, ვინ დაიწყო ომი?

რუსეთმა ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ ომის გამჩაღებლად საქართველო გამოეყვანა. ეს მას ნაწილობრივ გამოუვიდა კიდეც. ფაქტია, რომ ფართომასშტაბიანი შეტევითი ოპერაცია პირველმა ქართულმა ჯარმა განახორციელა. მაგრამ, ჯერ ერთი, ეს მან გააკეთა ოსი სეპარატისტების, და არა რუსი სამხედროების მიმართ, მეორეც, გააკეთა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ოსი სეპარატისტების მიერ გახსნილი ცეცხლის (მათ შორის, მსხვილკალიბრიანი იარაღიდან) შედეგად პრაქტიკულად მიწასთან გასწორდა კონფლიქტის ზონის ქართული სოფლები, დაიღუპნენ ქართველი სამშვიდობოები, დაიჭრნენ მშვიდობიანი მოქალაქეები და პოლიციელები, და რაც მთავარია, ქართულმა ჯარმა ეს შეტევა განახორციელა მას შემდეგ, რაც რუსი სამშვიდობოების სარდალმა მარატ კულახმეტოვმა ქართულ მხარეს განუცხადა, რომ „ოსები გამოვიდნენ მისი კონტროლიდან“ და რომ მისი სამშვიდობოები ვეღარ ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მისიას. სწორედ ამ ყველაფრის შემდეგ ქართულმა მხარემ თავის თავზე აიღო კონფლიქტის ზონაში კონსტიტუციური წესრიგის დამყარების, იქ მცხოვრები თავისი მოქალაქეების სიცოცხლის დაცვის ფუნქცია.

და ეს მისი არა მხოლოდ უფლება, მოვალეობაც იყო.

რუსეთ-საქართველოს ომი კი ერთმნიშვნელოვნად დაიწყო რუსულმა მხარემ, რომელიც რეგულარული ჯარით შემოიჭრა სუვერენული სახელმწიფოს საზღვრებში, წერტილოვანი საავიაციო დარტყმები განახორციელა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მოახდინა ჩვენი მიწების ოკუპაცია, კონფლიქტის ზონიდან გამოდევნა ქართული მოსახლეობა...

რუსეთის მხარის სპეკულაციები იმის შესახებ, თითქოს, მან საქართველოს წინააღმდეგ „მშვიდობის იძულების“ სამხედრო ოპერაცია რუსი სამშვიდობოების დაღუპვის შემდეგ და მის საპასუხოდ დაიწყო, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. **თვით კულახმეტოვის აღიარებით, რუსი სამშვიდობოები 8 აგვისტოს, დაახლოებით დილის 6 საათისთვის დაიღუპნენ, რუსეთის რეგულარული არმიის პირველი ნაწილები კი საქართველოს ტერიტორიაზე უკვე 7 აგვისტოს, დაახლოებით დღის სამი საათისთვის შემოვიდნენ.**

საქართველოში შემოჭრით რუსეთმა მთელი მსოფლიოს თვალში გამოიაშკარავა თავი, როგორც აგრესორმა. საერთაშორისო თანამეგობრობის პასუხი ერთმნიშვნელოვანი იყო: როგორც აშშ-ის პრეზიდენტის ყოფილმა მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების დარგში სტივ ჰედლიმ რუსებს განუცხადა, **„საქმე იმაში არაა, რომ ამერიკა და მისი მეგობრები თქვენს დასჯას იწყებენ, ეს, უბრალოდ, 21-ე საუკუნის საერთაშორისო სისტემის პასუხია, რომ მე-19 საუკუნის წესები ახლა უკვე სრულიად გამოუსადეგარია“.**

თუმცა, საერთაშორისო თანამეგობრობის პასუხს აშკარად აკლდა სიმძაფრე და კატეგორიულობა. დღეს სრულიად აშკარაა, რომ დასავლეთის მიერ მაშინ რუსეთისთვის გაკეთებულმა რევერანსებმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მოვლენების ტრაგიკული განვითარება დღევანდელ უკრაინაში.

უჩა გლუაშვილი

დასასრული. დასაწყისი იხ. № 143-145

ᲛᲘᲨᲐ ᲝᲚᲠᲐᲨᲝ, ᲐᲙᲘ ᲒᲕᲞᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲘ, ᲓᲐᲒᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲗᲝ?!

ᲛᲔ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲕᲘᲬᲧᲔᲑᲘᲐ ᲓᲐ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲗᲥᲕᲔᲜᲪ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲗ, ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲝ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝ, ᲛᲘᲨᲐ ᲝᲚᲠᲐᲨᲛᲐ (ᲫᲚᲘᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲕᲐᲒᲔᲜᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲘ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ ᲛᲐᲢᲧᲣᲐᲠᲐᲡ, ᲐᲤᲔᲠᲘᲡᲢᲡ, ᲒᲐᲓᲐᲛᲒᲓᲔᲑᲡ, ᲩᲐᲛᲨᲕᲔᲑᲡ, ᲒᲝᲗᲕᲔᲠᲐᲜᲡ ᲓᲐ ᲣᲐᲛᲠᲐᲕ ᲡᲮᲕᲐ ᲣᲬᲛᲘᲜᲓᲣᲠᲝᲑᲐᲡ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲣᲧᲕᲔᲓᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲡ) ᲘᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲓᲐᲜ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲡ ᲒᲐᲥᲪᲔᲣᲚᲛᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲡ ᲨᲔᲐᲤᲐᲠᲐ ᲗᲐᲕᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲛᲐᲩᲣᲥᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲜᲝᲚᲝᲒᲘᲗ ᲐᲒᲕᲘᲪᲠᲔᲛᲚᲐ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲒᲕᲐᲣᲬᲧᲐ, ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲓᲐᲜ ᲙᲣᲓᲐᲛᲝᲣᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲦᲠᲛᲐᲓ ᲩᲐᲤᲘᲥᲠᲔᲑᲣᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲮᲕᲓᲐᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲘ ᲐᲦᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲛᲗᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲧᲔᲚᲨᲘ ᲐᲠ ᲐᲛᲝᲣᲕᲘᲓᲔᲡ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲒᲐᲓᲐᲣᲬᲧᲔᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲛᲝᲐᲑᲔᲖᲠᲝᲡ, ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ ᲒᲐᲓᲐᲮᲕᲔᲣᲬᲘᲚᲐ.

ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲨᲐ ᲝᲚᲠᲐᲨᲛᲐ ᲡᲐᲠᲔᲖᲓᲔᲜᲢᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐᲖᲔ (ᲛᲗᲚᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲐᲛᲝᲒᲕᲔᲒᲓᲝ ᲛᲔᲮᲡᲘᲔᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲐᲓ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ ᲓᲐᲒᲕᲘᲢᲝᲕᲐ) „ᲡᲙᲐᲘᲠᲘᲗ“ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ ᲩᲐᲠᲗᲕᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ: „ᲛᲘᲛᲐᲩᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲩᲔᲛᲒᲐᲜ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲠᲐᲦᲐᲪ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲡ ᲐᲑᲠᲐᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲰᲒᲝᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲪᲔᲞᲢᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲔᲘᲤᲨᲘ ᲘᲜᲐᲮᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲔᲪᲐᲚᲝ“, ᲓᲐᲡᲘᲫᲔᲜᲓᲐ ᲑᲠᲫᲜᲣᲚᲐᲓ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲐᲘ ᲐᲡᲔ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲝᲚᲠᲐᲨᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲠᲣᲞᲔᲜᲢᲔᲚᲐᲡ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲐᲖᲔ �გᲐᲓᲐ�გᲔᲑᲣᲚ ᲜᲐᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲐᲚᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ, ᲬᲘᲜᲓᲐᲮᲔᲓᲣᲚᲛᲐ ᲒᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲛ ᲐᲠᲪ ᲐᲛᲭᲔᲠᲐᲓ ᲣᲛᲢᲧᲣᲜᲐ ᲓᲐ ᲦᲐᲢᲐᲙᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲐᲨᲕᲠᲐᲚᲐᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲭᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲐᲑᲠᲐᲚᲔᲑᲓᲐ (ᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ), ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘ ᲘᲞᲝᲕᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲔᲪᲐᲚᲐ. ᲛᲐᲜ ᲖᲝ�გᲘᲔᲠᲗᲘᲕᲘᲗ ᲙᲘ ᲐᲠ Ი�გᲝᲗᲕᲔᲠᲜᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲘᲛᲣᲜᲐ — ᲩᲐᲓᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲘᲡ �გᲐᲛᲝ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ �გᲐᲕᲔᲥᲪᲘᲝ (ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲢᲝᲛᲦᲐᲪ ᲐᲡᲔ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ), ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲐᲦᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲕᲘᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲒᲐᲜ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲐᲜᲡᲘ ᲛᲘᲕᲔᲪᲘᲝ.

ᲧᲝᲩᲐᲦ, ᲛᲐᲦᲐᲚᲐᲚ! ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ ᲐᲑᲐ ᲨᲔᲜᲡ �გᲐᲠᲓᲐ, ᲛᲡ�გᲐᲕᲡ ᲛᲝᲬᲧᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲦᲔᲑᲓᲐ? ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ, ᲠᲐᲨᲘᲪ ᲔᲯᲕᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲕᲘᲪᲐᲠᲘᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲠᲩᲣᲥᲠᲐᲓ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ ᲓᲐᲒᲒᲘᲢᲝᲕᲐ) „ᲡᲙᲐᲘᲠᲘᲗ“ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ ᲩᲐᲠᲗᲕᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ: „ᲛᲘᲛᲐᲩᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲩᲔᲛᲒᲐᲜ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲠᲐᲦᲐᲪ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲡ ᲐᲑᲠᲐᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲰᲒᲝᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲪᲔᲞᲢᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲔᲘᲤᲨᲘ ᲘᲜᲐᲮᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲔᲪᲐᲚᲝ“, ᲓᲐᲡᲘᲫᲔᲜᲓᲐ ᲑᲠᲫᲜᲣᲚᲐᲓ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲐᲘ ᲐᲡᲔ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲝᲚᲠᲐᲨᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲠᲣᲞᲔᲜᲢᲔᲚᲐᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲒᲔᲑᲣᲚ ᲜᲐᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲐᲚᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ, ᲬᲘᲜᲓᲐᲮᲔᲓᲣᲚᲛᲐ ᲒᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲛ ᲐᲠᲪ ᲐᲛᲭᲔᲠᲐᲓ ᲣᲛᲢᲧᲣᲜᲐ ᲓᲐ ᲦᲐᲢᲐᲙᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲐᲨᲕᲠᲐᲚᲐᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲭᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲐᲑᲠᲐᲚᲔᲑᲓᲐ (ᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ), ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲨᲐ ᲓᲐᲘᲦᲐᲚᲐᲚᲐᲝ, ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲙᲠᲔᲮᲔᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲔᲗᲚᲘ 9 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲡᲪᲓᲔᲜᲘᲐ. ᲐᲠᲪ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲐᲮᲚᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲙᲐᲛᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲚᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ. ᲞᲘᲠᲘᲥᲘᲗ, ᲣᲡᲙᲐᲛᲝ ᲛᲘᲨᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲝᲫᲠᲐᲕᲘ, ᲝᲠᲣᲑᲚᲔᲑᲖᲔ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲩᲐᲣᲥᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲓᲐᲐᲕᲘᲬᲧᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲓᲐᲜ ᲐᲖᲝᲛᲑᲘᲠᲔᲑᲓᲐ ᲣᲓᲐᲜᲐᲨᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲖᲝᲛᲑᲘᲠᲔᲑᲐᲡ. ᲝᲠᲨᲐᲗᲘᲡ ᲓᲐᲐᲕᲘᲬᲧᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲓᲐᲜ ᲐᲖᲝᲛᲑᲘᲠᲔᲑᲓᲐ ᲣᲓᲐᲜᲐᲨᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲖᲝᲛᲑᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲔᲑᲡ, ᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲓᲐ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚ ᲛᲝᲓᲔᲚᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓ ᲛᲝᲦᲚᲐᲚᲐᲢᲔᲔᲑᲐᲓ ᲓᲐ ᲯᲐᲨᲣᲨᲔᲑᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲪ ᲒᲐᲜᲐ ᲐᲛ ᲔᲗᲔᲠᲘᲓᲐᲜ ᲐᲠ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ? ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲐᲕᲘᲬᲧᲓᲐᲗ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲐᲛᲤᲡᲝᲜᲔᲑᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲔᲠᲐᲡᲐᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑᲔᲜ ᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲔᲡ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲖᲣᲠᲒᲖᲔ ᲘᲬᲕᲜᲘᲔᲡ.

ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲘᲚᲘᲗ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲡᲪᲓᲔᲚᲘᲐ. ᲐᲠᲪ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲐᲮᲚᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲙᲐᲛᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲚᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ. ᲞᲘᲠᲘᲥᲘᲗ, ᲣᲡᲙᲐᲛᲝ ᲛᲘᲨᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲝᲫᲠᲐᲕᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲝᲡᲪᲓᲔᲚᲘ. ᲐᲠᲪ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲐᲮᲚᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲙᲐᲛᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲚᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ. ᲗᲣ ᲐᲡᲔ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲐ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲔᲦᲣᲞᲐᲕᲗ, ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲕᲮᲓᲔᲑᲘᲗ, ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲣᲙᲐᲜᲕᲔᲚ ᲛᲝᲒᲑᲠᲣᲜᲓᲔᲗ ᲓᲐ ᲛᲐ�გᲐᲗᲒᲐᲜ ᲛᲝᲗᲧᲣᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲒᲐᲡᲐᲐᲭᲘᲠᲘᲓᲐᲜ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲕᲘᲮᲡᲜᲐᲗᲝ. ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲛᲑᲔᲓᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ (ᲩᲐᲡᲕᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲑᲐ ᲕᲘᲡ ᲣᲜᲐᲮᲐᲕᲡ!), ᲛᲘᲨᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲕ ᲕᲔᲠ ᲠᲘᲡᲙᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲣᲪᲮᲝᲔᲚ ᲔᲛᲘᲡᲠᲔᲑᲡᲐᲪ ᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ.

ᲐᲒᲔᲠ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲐᲠ ᲘᲧᲝ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲓᲐᲜ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲚᲣᲪᲔᲜᲙᲝ ᲠᲝᲛ ᲒᲕᲔᲬᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲘᲬᲝᲓᲐ? **ᲔᲠᲗᲐ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲔᲪ ᲐᲡᲔ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲢᲘᲕᲘᲗ ᲪᲘᲮᲔᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲧᲕᲓᲔᲣᲚᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲮᲚᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲙᲝᲚᲔ�გᲐ ᲕᲐᲜᲝ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ, — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲛᲐᲜ „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ 2“-ᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚ ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲣᲠ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲨᲘ, — ᲛᲐ�გᲠᲐᲛ �გᲐᲓᲐᲕᲐᲒᲓᲔᲗ ᲘᲐᲜᲣᲙᲝᲕᲘᲩᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲘ ᲓᲐ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲘᲡ ᲢᲧᲕᲔᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲣᲛᲐᲚ ᲒᲐᲕᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲓᲘ. ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲛᲐᲚᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐᲪ ᲔᲧᲝᲚᲔᲑᲐ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲐᲦᲬᲔᲡᲔᲑᲓᲔᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲐᲡᲗᲕᲘᲡ.**

ᲐᲘ, ᲮᲝᲛ ᲮᲔᲓᲐᲕᲗ, ᲝᲠᲘ ᲓᲦᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲚᲣᲪᲔᲜᲙᲝ ᲛᲘᲮᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲓ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲡ�წᲠᲝᲠᲔᲑᲘᲡ �გᲐᲛᲝ ᲐᲠᲘᲡ ᲪᲘᲮᲔᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲧᲕᲓᲔᲣᲚᲘ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲛᲪᲐᲕᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲐᲒᲔᲠ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲖᲔ ᲛᲝᲗᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲐᲡ, ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲡ ᲐᲡᲔᲗ „ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲡ“.

ᲦᲛᲔᲠᲗᲡᲐ ᲛᲐᲓᲚᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲔᲣᲚ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲘᲥᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲔᲚ ᲙᲔᲗᲘᲚᲘᲡᲛᲧᲝᲤᲔᲚᲔᲑᲡ ᲛᲘᲣᲒᲓᲝ ᲧᲣᲠᲘ, ᲐᲥᲔᲗ — ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘ�კᲔᲚᲗᲐ �გᲝᲜᲘᲕᲠᲣᲚ ᲠᲩᲔᲕᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲘᲗ „ᲓᲐᲒᲠᲣᲖᲣᲚᲘ“ ᲜᲐᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲐᲚᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲯᲔᲠ ᲐᲠᲡ, ᲘᲥ ᲐᲠ ᲛᲝᲐᲧᲣᲩᲐ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲐᲮᲚᲐ ᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲕᲔ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲯᲐᲛᲘᲜᲓᲔᲚ „ᲣᲜᲘᲐᲗᲝ ᲓᲐ ᲣᲥᲜᲐᲠᲐ“ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲨᲔᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲓᲐᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲪ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲚᲣᲪᲔᲜᲙᲝ ᲒᲐᲣᲑᲔᲓᲐᲕᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲡ, ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲡ ᲒᲔᲨᲘᲜᲘᲐᲝ.

ᲛᲘᲨᲐ ᲝᲚᲠᲐᲨᲝ, ᲗᲣᲙᲘ ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲛᲐᲚᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲨᲔᲒᲠᲩᲔᲜᲘᲐ (ᲛᲘᲨᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘ ᲡᲐᲓ ᲒᲐᲒᲝᲜᲘᲚᲐ!) ᲞᲘᲠᲯᲕᲐᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲬᲔᲠᲔ, ᲠᲝᲛ ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲡᲣᲤᲗᲐ ᲰᲐᲔᲠᲖᲔ ᲮᲐᲠ, ᲘᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲣᲜᲘᲐᲗᲝᲑᲘᲗ, ᲓᲐᲐᲧᲔᲜᲔ ᲛᲘᲡ ᲡᲐ�გᲘᲜᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲒ ᲭᲐᲠᲗᲐᲚᲐ ᲔᲜᲐ, ᲨᲔᲜᲪ ᲓᲐᲘᲡᲕᲔᲜᲔ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲪ ᲓᲐᲒᲒᲐᲡᲕᲔᲜᲔ! ᲓᲐᲛᲘᲯᲔᲠᲔ, ᲐᲡᲔ ᲐᲯᲝᲑᲔᲑᲡ.

ᲝᲗᲐᲠ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

◎ ᲐᲚᲘᲐᲜᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲡ ᲡᲐᲙᲠᲣᲘᲖᲝ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘ RIVIERA ᲔᲬᲕᲘᲐ

**ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲨᲐᲕᲘᲖᲦᲕᲘᲡᲞᲘᲠᲔᲗᲘᲡ ᲣᲞᲠᲔᲪᲔᲓᲔᲜᲢᲝ ᲖᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲣᲘᲖᲝ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘ Riviera ᲔᲬᲕᲘᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ „ᲘᲜᲢᲔᲠᲠᲔᲡᲣᲜᲘᲣᲡᲘ“ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲓᲐᲜ ᲐᲪᲜᲝᲑᲔᲡ, ᲛᲡ�გᲐᲕᲡᲘ ᲡᲘᲓᲘᲓᲘᲡ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲝᲑᲡ. ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘ

◎ კიდევ ერთი ახალი ვერსია

ფიროსმანი ხუდადოვის ტყესთან მდებარე საავადმყოფოს სასაფლაოზეა დაკრძალული



2003 წლიდან ვიკვლევ ფიროსმანის დაბადებასთან და გარდაცვალებასთან დაკავშირებულ მასალებს. როდესაც მომაკვდავი მხატვარი მეზობლებმა სარდაფში მწოლიარე იპოვეს, ეტლი გამოიძახეს და საავადმყოფოში გაისტუმრეს. თან არავინ გაჰყოლია, რის გამოც ზუსტად არ იცოდნენ, არამიანცის საავადმყოფოში წაიყვანა მეეტლემ თუ მიხეილის საავადმყოფოში. დარწმუნებით მხოლოდ იმის თქმა შეეძლოთ, რომ 1918 წლის აღდგომის წინა ღამე იყო. ამიტომ აღდგომის თარიღის განსაზღვრა დიდ მნიშვნელობას იძენს.

წლების მანძილზე ერთ-ერთი მკვლევარი ამტკიცებდა, თითქოსდა 1918 წელს აღდგომა 18 აპრილს იყო, ხოლო 1919 წელს – 10 აპრილს, რაც მცდარია. ანზორ მაძღარაშვილის მტკიცებით, 1918 წელს აღდგომა 7 აპრილს იყო. ფიროსმანის ცნობილ მკვლევარ ერნესტ კუზნეცოვს აღდგომა სხვადასხვა დღეებში გადაადგილებია, იმისდა მიხედვით, თუ ვის მასალას ეყრდნობა, ან ითვისებს (2012 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში ჩემი კვლევის შედეგი მიითვისა, რაც სხვა თემაა). მე თავიდანვე დავადგინე, რომ 1918 წელს აღდგომა 5 მაისს იყო, 1919 წელს კი 20 აპრილს. დღეს ამ მონაცემების სისწორეში მკითხველს ადვილად შეუძლია დარწმუნდეს ინტერნეტის მეშვეობით. საარქივო მასალებით დავამტკიცე, რომ 1918 წლის 4 მაისს, აღდგომის წინა დღეს მიხეილის საავადმყოფოში მიყვანილი აღმოჩნდა „უცნობი წოდების“ მამაკაცი, რომელიც იქამდე გარდაიცვალა, ვიდრე ექიმი გასინჯავდა. ვინ უნდა ყოფილიყო ეს, თუ არა ფიროსმანი. სხვა უპატრონო მიცვალებული იმ დღეებში თბილისში არ ყოფილა.

5 მაისს გვამი გაკვეთეს. მონაცემები ემთხვევა ნიკალას მდგომარეობას. რკინიგზაზე რომ მუშაობდა, მან ერთხელ შვებულებაც კი აიღო აბასთუმანში წასასვლელად და აი, გაკვეთის ოქმიდან ისიც ჩანს, რომ ორივე გაკვეთილი ფილტვიდან დიდი რაოდენობით მოედინებოდა მღვრიე სითხე. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის წინათ ეროვნულმა ბიბლიოთეკამ იოსებ იმედაშვილის არქივი შეიძინა. მასალებს შორის არის გამოუქვეყნებელი ბიოგრაფიული ლექსიკონი, სადაც ფიროსმანის გარდაცვალების თარიღად 1918 წლის 4 მაისია მითითებული, რაც სრულიად ემთხვევა ჩემ მიერ საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით დადგენილ თარიღს. **ასეთი დამთხვევები შემთხვევით არ ხდება!**

ჯერ კიდევ 2003 წელს მოვიძიე და გამოვაქვეყნე სხვა საარქივო დოკუმენტი, რომელიც მხატვრის დაკრძალვას შეეხება. მიხეილის საავადმყოფოსთან არსებულ წმ. მიხეილის ეკლესიის წიგნში აღმოჩნდა ჩანაწერი, რომლის თანახმად, 4 მაისს გარდაცვლილ უცნობს 9 მაისს აუგეს წესი და როგორც უპატრონო მიცვალებული დაკრძალეს საავადმყოფოს სასაფლაოზე – На больничном Кукийском, რაც მაფიქრებინებდა, რომ საავადმყოფოს კუკიის სასაფლაოზე ჰქონდა გამოყოფილი ადგილი უპატრონო მიცვალებულებისთვის. ჩემს დასკვნაზე გარკვეულწილად იმ ფაქტმაც მოახდინა გავლენა, რომ ფიროსმანის თანამედროვეები მხოლოდ ორ სასაფლაოზე მიუთითებდნენ. ნიკალა ან პეტრე-პავლეს სასაფლაოზე უნდა ყოფილიყო დაკრძალული, ან კუკიისაზე. თითქმის ერთი საუკუნეა, რაც ამ ორი მიმართულებით მიდის ძიება.

ამჟამად, დამატებით გავეცანი საარქივო მასალებს და თბილისის 1922 წლის გეგმას, რის შედეგად ახლებურად წავიკითხე ჩემს მიერ წლების წინ მოპოვებული საარქივო დოკუმენტი (საისტორიო არქივი, ფონდი 489, აღწერა 7, საქმე 1798). საავადმყოფოს სასაფლაო კუკიას არ ეკუთვნის. თბილისში ორი საავადმყოფოს სასაფლაო იყო: ქალაქის (არამიანცის) საავადამყოფოსი ნავთლუღში მდებარეობდა, ხოლო მიხეილის საავადმყოფოსი – ნაძალადევში, ხუდადოვის ტყესთან. საარქივო მასალა იმაზე მეტყველებს, რომ არამიანცის საავადმყოფოში გარდაცვლილ უპატრონო მიცვალებულებს, აგრეთვე იმ მიცვალებულებს, რომელთა ჭირისუფლებს გადახდა არ შეეძლოთ, ორი-სამი კვირის განმავლობაში აგროვებდნენ, შემდეგ პეტრე-პავლეს ეკლესიაში აუგებდნენ წესს და ნავთლუღის სასაფლაოზე გადაჰქონდათ. ამის მაგალითად გამოდგება 1919 წლის 14 მარტს დაკრძალული ვინმე „უცნობი ნიკოლოზი“, რომელსაც ნიკალად მიიჩნევენ და ფიქრობენ, რომ ის პეტრე-პავლეს სასაფლაოზეა დაკრძალული.

მწერალმა შორენა ლებანიძემაც გაითავისა ეს ცნობა და ამ დოკუმენტზე დაყრდნობით წერს, რომ უცნობი ერთ დღეში დაკრძალეს, რადგან უპატრონო იყო. სინამდვილეში, უცნობი ნიკოლოზი, რომელიც 1919 წლის 23 თებერვალს გარდაიცვალა, 14 მარტს პეტრე-პავლეს ეკლესიის მღვდელმა სამადალაშვილმა სხვა 59 მიცვალებულთან ერთად მოიხსენია, რის შემდეგაც ისინი ნავთლუღის სასაფლაოზე გადაასვენეს, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა. მიხეილის საავადმყოფოში გარდაცვლილ უპატრონო მიცვალებულებს კი საავადმყოფოსთან არსებულ წმინდა მიხეილის ეკლესიაში უგებდნენ წესს და საავადმყოფოს სასაფლაოზე გადაჰქონდათ, რომელიც მაშინდელ ვლადიმირის ქუჩასთან, ანუ დღევანდელ ცხრა ძმის ქუჩასთან ახლოს მდებარეობდა.

შესაბამისად, მივიღე ახალი დასკვნა: **ფიროსმანი 1918 წლის 9 მაისს დაკრძალეს საავადმყოფოს სასაფლაოზე, რომელიც ხუდადოვის ტყესთან, „რეზერვუარის ბაღთან“ ახლოს მდებარეობდა.** იქვე იყო მართლმადიდებლების, მალაკნების, ბაპტისტების სასაფლაოები. სანამ ახალ ნაშრომს გამოვაქვეყნებდე, მინდა ეს სიახლე ვამცნო საზოგადოებას. დაბოლოს, გამართლდა ჩემი ძველი მტკიცება, რომ ფიროსმანი ისე დაიკრძალა, როგორც უპატრონო მიცვალებული და მისი კონკრეტული საფლავის მიგნება შეუძლებელია. ახლა ის მაინც გვეცოდინება, რომ მისი ნეშტი ხუდადოვის სასაფლაოზე განისვენებს.

მანანა ხომერიკი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ქიოსისა და იუნუსისის (საბერძნეთი) საპატიო მოქალაქე, ჰომეროსის ოქროს მედალოსანი

◎ ეს საინტერესოა

მილიარდერების 10 ყველაზე ძვირადღირებული სახლი მსოფლიოში

1. Antilia (1 მლრდ დოლარი)
მფლობელი: მუკეშ ამბანი (ქონება – 23, 9 მლრდ)
მდებარეობა: მუმბაი, ინდოეთი
56 წლის ბიზნესმენის 27-სართულიანი ცათამბჯენის ფართობი 37 000 კვ.მ-ია. ცათამბჯენს სახელი Antilia მითიური კუნძულის გამო დაერქვა. შენობას 6 მიწისქვეშა სართული აქვს ავტოპარკინგისთვის, ვერტმფრენის 3 დასაჯდომი მოედანი. გარდა ამისა, შენობაში მსახურობს 600 სპეციალისტი.

2. Villa Leopolda (750 მლნ)
მფლობელი: ლილი საფრა (ქონება: 1.3 მლრდ)
მდებარეობა: საფრანგეთის ლაჟვარდოვანი სანაპირო
ბანკირ ედმონდ საფრას ქვრივს, ლილი საფრას ეკუთვნის მეორე ყველაზე ძვირადღირებული სასახლე მსოფლიოში. სასახლეს 81 000 კვ.მ ფართობი უჭირავს. არაოფიციალური ინფორმაციით, 2008 წელს სასახლის შეძენას ცდილობდა რუსი მილიარდერი მიხეილ პროხოროვი, თუმცა ამბობენ, რომ მან ბოლო მომენტში გადაიფიქრა.

3. Fair Field (248,5 მლნ)
მფლობელი: აირა რენე (ქონება – 6 მლრდ)
მდებარეობა: საგაპონაკი, ნიუ-იორკის შტატი, აშშ
შენობა ყველაზე ძვირადღირებულ უძრავ ქონებად ითვლება აშშ-ში, მიუხედავად იმისა, რომ მილიარდერმა ის საკუთარი ოჯახისთვის ააშენა და არასდროს უძებნია მდიდრული სასახლის მყიდველები.

4. One Hyde Park (237 მლნ)
მფლობელი: უცნობია
მდებარეობა: ლონდონი, დიდი ბრიტანეთი
იდუმალმა აღმოსავლეთევროპელმა ყველაზე მდიდრული აპარტამენტების კომპლექსი ლონდონში, უკრაინის კრიზისისა და რუსეთ-დასავლეთს შორის ახალი „ცივი ომის“ დროს შეიძინა.

5. Kensington Palace Gardens (222 მლნ)
მფლობელი: ლაქშმი მიტალი (ქონება – 416.6 მლრდ)
მდებარეობა: კენსინგტონის რაიონი, ლონდონი
ინდოელმა მაგნატმა არაოფიციალური ინფორმაციით, 3 სასახლე იყიდა ლონდონის ერთ-ერთ ყველაზე დაცულ ქუჩაზე.

6. აპარტამენტი One Hyde Park-ში (221 მლნ)
მფლობელი: რინატ ახმეტოვი (ქონება – 11.8 მლრდ)
მდებარეობა: ლონდონი
ზევით ნახსენებ One Hyde Park-ის კომპლექსში, ერთ-ერთი აპარტამენტი ეკუთვნის ყველაზე მდიდარ უკრაინელს რინატ ახმეტოვს.

7. Ellison Estate (200 მლნ)
მფლობელი: ლარი ელისონი (ქონება – 51.4 მლრდ)
მდებარეობა: ვუდსაიდი, კალიფორნიის შტატი, აშშ
Oracle-ს დამფუძნებელი ალბათ, მსოფლიოში ელიტური სახლების ყველაზე გულმხურვალე კოლექციონერია. სასახლე 10 ჰექტარზეა გაშენებული. მიუხედავად იმისა, რომ მისი მოწყობა 200 მლნ დოლარი დაჯდა, 2004 წელს საგადასახადო კომპანიამ მილიარდერის უძრავი ქონება მხოლოდ და მხოლოდ 73.2 მლნ დოლარად შეაფასა – ანუ იმაზე თითქმის სამჯერ ნაკლებად, ვიდრე მისი აშენება დაჯდა.

8. Kensington Palace Gardens (140 მლნ)
მფლობელი: რომან აბრამოვიჩი (ქონება – 9.4 მლრდ)
მდებარეობა: კენსინგტონი, ლონდონი
Chelsea-ს მფლობელს ელიტური საცხოვრებლების ნაკლებობას არ უჩივის, თუმცა, მის უძრავ ქონებაში მარგალიტი ლონდონში მდებარე სახლია. ქალაქის ხელისუფლება აბრამოვიჩს დათანხმდა სახლის ნაწილობრივ რეკონსტრუქციაზე – აბრამოვიჩმა მიიღო უფლება, მოაწყოს ჩოგბურთის კორტი, გამაჯანსაღებელი ცენტრი, სპა, ავტოტექნიკის მუზეუმი.

9. Blossom Estate (130 მლნ)
მფლობელი: კენ გრიფინი (ქონება – 5.2 მლრდ)
მდებარეობა: პალმ-ბიჩი, ფლორიდა
ჰეჯ-ფონდების ერთ-ერთი წარმატებული მმართველი ოკეანის სანაპიროზე 3 ჰექტარ მიწას ფლობს თავისი მდიდრული სასახლით.

10. კომპლექსი Xanadu (2.0 მლნ).
მფლობელი: ბილ გეითსი (ქონება – 77.5 მლრდ)
მდებარეობა: მედინა, ვაშინგტონის შტატი, აშშ
Microsoft-ის დამფუძნებლის, ბილ გეითსის სახლი მაღალტექნოლოგიური მოწყობილობებით არის „გაჯერებული“. ალბათ, ეს არცაა გასაკვირი. სახლში არსებულ აუზს გააჩნია წყალქვეშა მუსიკალური სისტემა, თითოეულ ოთახში შესაძლებელია ჰაერის ტემპერატურის, მუსიკის, განათების და ა.შ. კონტროლი. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს ინოვაციური გუმბათი აქვს, ხოლო ფიტნეს-დარბაზს 232 კვ.მ უჭირავს. გეითსის სახლს Xanadu 2.0 ჰქვია – ჩარლზ ფოსტერ კეინის პატივსაცემად ფილმიდან „მოქალაქე კეინ“.

ალნიშნული რეიტინგი FORBES-მა შეადგინა.

შეჭამე და ... მორჩა!

ჩვენი წინაპრებიც კანიბალები იყვნენ

არაფერია უფრო საშინელი და საზიზღარი, ვიდრე კანიბალიზმი

შემთხვევით **როდი გვაოცებს პირობითად 3,5 წელი, რაც ამ დღეებში იაკუტიელ კანიბალებს მიუსაჯეს. მეთევზეებს ტაიგაში გზა აებნათ, მოკლეს ამხანაგი და დაღრღნეს იგი ბოლომდე. რატომ ასე მოკლე ვადა? მკვლელობის ფაქტი ვერ დაადასტურეს, კანიბალიზმისთვის კი ჩვენთან სისხლის სამართლის კოდექსში საერთოდ არ არის მუხლი.**

რატომ არის, რომ განათლების გარკვეულ სტადიაში ყველა ხალხს ყველა კონტინენტზე პრაქტიკაში ჰქონდა კაციჭამიობა? რა აიძულებდათ ჩვენს წინაპრებს, ეჭამათ თავისივე მსგავსნი? ხშირად საუბრობენ შიმშილზე, სირთულეებზე, რომლებიც საკვების მოპოვებასთანაა დაკავშირებული, პატარა კაცუნები კი ყველგანაა და უხვადაც. მაგრამ სინამდვილეში მიზეზი სხვა რამაა. როგორ საზიზღრობადაც უნდა გვეჩვენებოდეს, მაგრამ შენნაირის ჭამა დაკავშირებულია პირველყოფილი ველურების სულიერებისა და რელიგიური გრძნობების წარმოშობასთან.

ბატონებო, თქვენ მხეცები ხართ!

არის კანიბალიზმის ორი სახესხვაობა, რომელთა შორისაც სხვაობა უფრო მეტია, ვიდრე მსგავსება. პირველი — კვებითია, იგი სწორედ შიმშილთანაა დაკავშირებული. რამდენადაც ეს სამწუხარო არ უნდა იყოს, იგი ყოველთვის იყო და ყოველთვის იქნება. აქ დროული იქნებოდა, გაგვეხსენებინა დანიილ გრანინის გამოსვლა ბუნდესტაგში ლენინგრადის ბლოკადის მოხსნის 70 წლისთავთან დაკავშირებით. ის ყვებოდა, თუ დედამ, ვისაც ერთი შვილი მოუკვდა, როგორ აჭმევდა იმას მეორეს, რომ ის მაინც გადაერჩინა. კანიბალიზმის ამგვარი შემთხვევები ხდება ყველგან, როდესაც მასობრივი შიმშილი იწყება ან როდესაც ადამიანთა ჯგუფი მოწყვეტილი აღმოჩნდება სამყაროსაგან. ასე იყო 1930-იან წლებში, როდესაც სსრ კავშირში შიმშილი მძვინვარებდა, ასე იყო ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში, ასე იყო ეთიოპიაში 1980-იან წლებში. და ასე იყო შიმშილის პერიოდებში, რომლებიც დაკავშირებული იყო მოუსავლიანობასთან და ომებთან, უხვად რომ ხდებოდა ევროპაში, აფრიკასა და ყველა დანარჩენ კონტინენტებზე. გამონაკლისი ამ წესიდან არ არსებობს, და არ აქვს მნიშვნელობა იმას, ეს თეთრკანიანები იყვნენ თუ შავკანიანები, ველურები თუ ცივილიზებულნი. აი ფრეგატ „მედუზას“ დაღუპვასთან დაკავშირებული ისტორია, რომელიც 1816 წელს აფრიკის მახლობლად მოხდა. 140 კაცი, რომელთა შორისაც ბევრი ზანგი იყო, ტივზე გადასხდა. მათ 13 დღის განმავლობაში ოკეანე აქეთ-იქით დააქანებდა, და ამ პერიოდში დაიწყო კანიბალიზმის ლამის ორგია. მისი წამომწყებები იყვნენ ევროპელები და არა აფრიკელები.



ევროპელ მისიონერებს ხშირად ხოცავდნენ კანიბალები კონგოდან.

1864 წელს ოქროს ციებ-ცხელების დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში ქარავანი დაახლოებით 100 კაცის შემადგენლობით მთელი ქვეყნის გავლით კალიფორნიაში გაემგზავრა. როდესაც მთებში გაიჩხირნენ, ისინი კანიბალიზმამდე მივიდნენ. გადარჩენილებს ასამართლებდნენ მკვლელობისა და კაციჭამიობისთვის, მაგრამ გაამართლეს. მოსამართლეებმა გადაწყვიტეს, რომ წამება და შიმშილი, რაც მათ გადაიტანეს, მათგან ყველა ბრალდებას ხსნის. 1972 წელს ანდებში ურუგვაის თვითმფრინავი ჩამოვარდა, გადარჩენილები 72 დღის განმავლობაში დაღუპულებით იკვებებოდნენ. შედეგად 16 კაცი გადარჩა.

ყველა ასეთი შემთხვევა ახლოა კანიბალიზმთან, რაც, ჩვეულებრივად, ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანებს აწუხებს. შიმშილი და წამება ასევე უკარგავს ადამიანებს გონებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელად რომ ეჭამათ მათ ადამიანის ხორცი. ჩიკატილოსა და სხვა ცნობილ კანიბალებს მისწრაფება, ეჭამათ თავიანთი მსგავსები, დაკავშირებული იყო სექსთან, ისინი განიცდიდნენ არა გასტრონომიულ კმაყოფილებას, არამედ უფრო ეროტიკულს. იმის გამო, რომ სექსი ჩვენი ფსიქიკის საფუძველშია, ეს მოშლილობა მეტად მძიმეა. ამიტომ შიზოფრენი-კანიბალები, რომლებსაც იძულებითი მკურნალობის შემდეგ ათავისუფლებდნენ, ხშირად აგრძელებდნენ თავიანთ შავ საქმეს. აქ სანიმუშოა როტენბურგელი კანიბალის არმინ მაივესისა და მისი მაზოხისტი საყვარლის ისტორია, რომელიც 2001 წელს მოხდა. ამ უკანასკნელის თხოვნით, მან მოახდინა თავისი მეგობრის კასტრირება, და მათ ერთად შეჭამეს გენიტალი. შემდეგ მან იგი მოკლა და შეჭამა მარტომ მთლიანად. ამჟამად სახელგანთქმული კანიბალი ეწევა პოლიტიკოსობას, სათავეში უდგას მწვანეთა პარტიის ციხის უჯრედს.

კეთილი შიგნეულობა?

ძველი და ველური ტომები, რითაც ჩვენი დაშინება უყვართ, ჩვეულებრივად პრაქტიკაში იყენებდნენ სხვა კანიბალიზმს — რიტუალურს. ეს ისეთი წეს-ჩვეულებებია, ზოგჯერ მძიმე, არასასიამოვნო, მაგრამ აუცილებლად შესასრულებელი. არ გააკეთებ — და ნადირობა იქნება წარუმატებელი, და ომიც წაგებულია. ასე უყურებდნენ რეალურობას ველურები. კანიბალიზმს ჩვეულებრივად უკავშირებდნენ გარდაცვლილთა კულტს და დავაჟკაცების წეს-ჩვეულებებს — ჭაბუკების მამაკაცებად გახდომას, გოგონებისა — ქალებად.

აი ასეთი, მაგრამ უკვე თანამედროვე კანიბალიზმის მაგალითი იანოამის ინდიელებში სამხრეთ ამერიკაში. ისინი გარდაცვლილებს წვავენ, ფერფლს კი ურევენ ბანანის ფაფაში და ჭამენ. რატომ? აი, მათი განმარტება: „ისინი, ვინც მამაცი მებრძოლების ფერფლი შეჭამა, მემკვიდრეობად მათ თვისებებს იძენენ“. ასევე განმარტავდა კანიბალიზმს თითქმის ყველა ტომი. ბევრი ჭამდა ღვიძლს, ტვინს, გულს, გარკვეულ კუნთებს, თუმცა, არა სხეულს მთლიანად. ზოგიერთი ტომი ჭამდა არა მხოლოდ გარდაცვლილ მახლობლებს, არამედ მოკლულ მტრებსაც. მაგრამ ყველა აკეთებდა ამას, რათა მემკვიდრეობად მიეღო რაიმე სასარგებლო და კარგი. მეცნიერები ამ რიტუალს სიმპათიურ ან ჰომეპათიურ მაგიას უწოდებენ და ხსნიან მსგავსების კანონით: როდესაც ვიღაცას იყენებ, რაიღაცით მას ემსგავსები.

ორივე ამერიკაში, აფრიკაში, წყნარი ოკეანის კუნძულებზე და სადღაც აზიაში მეცნიერები რეალურად ადევნებდნენ თვალყურს ასეთ კანიბალიზმს ჯერ კიდევ XX სუკუნეში. ევროპაში, საბედნიეროდ, მისი კვალი შემორჩა მხოლოდ მითებსა და ზღაპრებში. მაგალითად, ზევსი ჭამს თავის ცოლ მეტიდას, რომ მისი გონება და ეშმაკობა მიიღოს. თამაშის დროს ის სთხოვს მას, გახდეს პაწაწა-პაპაწინა, მეტიდა უსრულებს სურვილს, და ქმარიკო ყლაპავს მას. ხომ არ მოგაგონებთ ეს ჩექმებიან კატას? მანაც ხომ სთხოვა კაციჭამიას, გადაიქცეს თაგვად, რომ შეჭამოს.



ამბობენ, რომ კაციჭამიობა კოლუმბამდელ ამერიკაშიც კატივში იყო.

უფრო აშკარა რიტუალური კანიბალიზმი შემონახულია წითელქუდას ზღაპარში. მაგრამ არა იმაში, რომელიც ჩვენ ვიცით შარლ პეროს წყალობით, არამედ თავდაპირველ ხალხურ ზღაპარში, რომელიც მან გადააკეთა. როდესაც გოგონა ბებიასთან მიდის, მგელი მას სთავაზობს შემწვარ კერძსა და წითელ ღვინოს. თქვენ, ალბათ, უკვე მიხვდით, რომ საჭმელი მომზადებულია ბებიას სხეულისგან, ღვინო — კი მისი სისხლია. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ აქ ასახულია დავაჟკაცების რიტუალი — გოგონას გადაქცევა ქალად, რომლის პროცესშიც ის უნდა გახდეს ისეთივე ჭკვიანი, როგორიც ბებია. დავაჟკაცების ამგვარი წეს-ჩვეულებანი შემონახული აქვს ძალიან ბევრ არქაულ ხალხს. რასაკვირველია, დროთა განმავლობაში რიტუალი უფრო ჰუმანური ხდებოდა. ხომ გახსოვთ, იანოამები უკვე ჭამენ არა სხეულს, არამედ ფერფლს? სადღაც ადამიანის ხორცს ცვლიდნენ რაღაც საზიზღარი საკვებით, რომლის შეჭმაც დიდი გამოცდა იყო. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ადამიანები განვითარების კვალობაზე შორდებონენ სუფთა კანიბალიზმს, ცვლიდნენ მას სიმბოლური კერძებით. ეს კაცობრიობის განვითარების უცვლელი ხაზია. აი, კვებითი კანიბალიზმი — მარადიულია!

ალექსანდრე მელნიკოვი

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● ვიღაცამ ბესელიას მიკროფონს გადაუფრინა!

● აკი საკრებულო პირველივე დღიდან მუშაობას შეუდგებაო... მანქანებზე, ხელფასებზე, პრემიებზე, ფრაქციებისა და კომისიების გამრავლებაზე და მათ თავმჯდომარეობაზე გაუთავებელი საუბარი და გაწევ-გამოწევა თუ მუშაობაა, — „ამასაც ვიკითხავ, — ცხარობს გარსევანი... — ხალხს თვალი უჭირავს ძღომაზე, გაქცევაზე!..“

● გოგ-ოლამ და ბიჭ-ოლამ ანგ-ოლაში სპიდ-ოლა იყიდეს!

● ამ კახა კოჟორიძემ ხომ წაიღო ტვინი რა! ვერ იქნება მე-8 საპყრობილეში მაყურებელი, ფიზიკურად! დახურული სისტემაა! ნუ შაგვაღონე!

● პოლიტიკური ნიშნით არ ვსაზღვრავ ადამიანებს — თავში ქვა გიხლიათ და მუცელში კულტურის მინისტრი, მაგრამ ორივე ლოყა რო „გაგითავდებათ“, მერე რას მიუშვერთ ნაციონალებს, ეგ მაინტერესებს.

● არ შეიძლება, რომ არ ვიცოდე და არც მაინტერესებდეს, ვინ არის საქართველოს ინფრასტრუქტურის მინისტრი? ან, თუ გნებავთ, კულტურის იყოს!

● კეზერაშვილმა ხმალი ალესა, შემოახია ჯოზეფ კეის ჯაჭვის პერანგი!

● აი, ამ ნაყინით და ცხელი გულით ცხელ ჩაის რომ სვამენ და ცივი გული აქვთ, იმათ გაუმარჯოოოს!

● 1990 წელს პრაღიდან მყავდა სტუმრები, ინსტიტუტიდან სტუდენტების გაცვლის პროგრამის ფარგლებში. 11-კაციან დელეგაციაში 4 პროფესორი იყო. ვუმასპინძლე შეძლებისდაგვარად. ერთხელაც დავგეგმეთ ქაშვეთის ტაძრის მონახულება, დილით თერთმეტივე ტაძართან შორტებში მოვიდნენ, გამიკვირდა და განვუმარტე, აქ ასე არ დადიან ღვთის სახლში, ეს ხომ ბასეინი არ არის-მეთქი, შემდეგ მე მომიწია პრაქტიკებზე პრაღაში და დაგეგმილი მარშრუტის ფარგლებში მივედი პრაღის საკათედრო ტაძარში. ვხედავ ყველა მათგანი შარვალ-კოსტიუმებში არიან გამოწყობილები. ვკითხე, ზაფხულია ცხელა, თქვენ ასე რატომ მოხვედით, ჩვენთან რომ იყავით იქ ხომ შორტებში გადაწყვიტეთ ტაძრის მონახულება-მეთქი? აქ სხვანაირად არც შეგიშვებენო, იგივე ისტორია მიამბო მეგობარმა, მილანის ცენტრში არსებული დუომოს ტაძრის განაწესის შესახებ, იმ განსხვავებით, რომ დუომოსთან კარაბინიერები (პოლიციელები) დგანან და თუ ვინმე იქ შესვლას შორტებში დააპირებს, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ფეხებში ხელჯოხს ურტყამენ!

დღეს ჩვენი ტაძრები სავსეა ნიფხავით მოსიარულე უცხოელებით. მოსარიდებელი არაფერია, ზრდილობის ფარგლებში უნდა განემარტოთ, თუ სად იმყოფებიან და უნდა დავატოვებინოთ ტაძარი, აქ სტუმარ-მასპინძლობა არაფერ შუაშია. გვიყურებენ როგორც ველურებს!

მსგავსი ფაქტის იგნორირებისთვის ჩვენც მოგვეთხოვება თავის დროზე პასუხი!!!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ სუვერენიტეტი რა ხარისხით?

ილიას არ უთქვამს, „ჩვენი თავი სხვას ეყუდნესო“!

საძართველოსთვის, მისი უსაფრთხოებისა და განვითარებისთვის ევროპულ ორიენტაციას და კავშირურთიერთობებს რომ უდიდესი, უალტერნატივო მნიშვნელობა აქვს, ეს მტკიცებას არ საჭიროებს. მაგრამ, როგორც ყოველთვის, ქართველებს ხშირად ზომიერების გრძნობა გვღალატობს და ამ დღეებშიც, როცა საქართველოს პარლამენტმა ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულება რატიფიკაციაჰყო, მოახდინა, არაერთხელ გაიგონებდით სხვადასხვა ტრიბუნიდან თუ სატელევიზიო ეთერიდან არაადეკვატურ შეფასებებს, ზოგნიც ლამის, ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დეკლარაციას უტოლებდნენ ზემოთხსენებულ ხელშეკრულებას, რაც ჩვენი პოლიტელიტის და უკაცრავად, ზოგადად საზოგადოების პოლიტიკურ უმწიფრობასა და მის მარიონეტულ აზროვნებაზე მეტყველებს! ქვეყნის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი წმიდათაწმიდაა და მათ ვერაფერი შეედრება! თვით დასავლურ სამყაროში, სადაც დემოკრატიული ღირებულებების და ფასეულობების უზენაესობა ეჭვს არ იწვევს, იქაც კი, დაკვირვებული „პოლიტიკური თვალი“ ადვილად შეამჩნევს გარკვეულ დიფერენციაციას, რაც სახელმწიფოებისათვის განპირობებულია სხვადასხვა მახასიათებლებით, — ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და, რა თქმა უნდა, — სამხედრო კომპონენტით! შეევცდები, რომ ორი უმსხვილესი ევროპული სუპერსახელმწიფოს შედარების მაგალითზე გაჩვენოთ ეს „განსხვავება“!..

ამას წინათ, ბერლინში, დიდი სკანდალი გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ გერმანიის სპეცსამსახურის თანამშრომელი იმხილებოდა აშშ-ის სასარგებლო სადაზვერვო საქმიანობაში. საქმე იქამდე მივიდა, რომ კანცლერმა მერკელმა გაგულისებულმა განაცხადა, რომ იგი გადახედავს აშშ-სთან მომავალი „თანამშრომლობის მიზანშეწონილობას უსაფრთხოების საკითხებში“.

გარდა ამისა, რამდენიმე თვის წინათ ასევე აურზაური ატყდა იმასთან დაკავშირებით (რომელსაც მოჰყვა ფაქტობრივი დადასტურება), რომ გერმანიის სპეცსამსახურებმა დაადგინეს: კანცლერ მერკელის სატელეფონო საუბრები ისმინებოდა აშშ-ის შესაბამისი სამსახურების მიერ! მოკლედ, „პოლიტიკურ დასავლეთს“ არაერთგვაროვანი და ხანდახან ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები რომ აქვთ, ეს შემთხვევები ამის მაჩვენებელია...

ამ ფაქტებმა აშშ-ის ერთ-ერთ გადამდგარ გენერალთან გერმანულ ჟურნალ „შპიგელის“ ინტერვიუ გამახსენა, რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში გამოქვეყნდა. კითხვაზე, — „თუ როდის მოხდება ამერიკული შეიარაღებული ძალების კონტინგენტის შემცირება და მისი საბოლოოდ გაყვანა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიიდან (აშშ-ს იმ პერიოდში, გერმანიაში სამ ათეულ სამხედრო ბაზაზე, დაახლოებით 120 000 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე ჰყავდა განთავსებული!), მას შემდეგ, რაც: ა) სსრკ დაიშალა; ბ) ვარშავის სამხედრო-პოლიტიკური ხელშეკრულების ბლოკი აღარ არსებობს; და გ) გერმანია გაერთიანდაო“, — ამერიკელმა, გენერალმა უპასუხა, — „თქვენ, გერმანელები და გერმანია მეორე მსოფლიო ომში დამარცხდით, ჩვენ კი, ამერიკელებმა გავიმარჯვეთ, მიუხედავად იმისა, რომ კიდევ ერთი გამარჯვებული, ანუ სსრკ დაიშალა და საფრთხეს აღარ წარმოადგენს დასავლეთისთვის, ამერიკელები დღეიდან, კიდევ ერთი 50 წელი მაინც არ ვაპირებთ, გადავხედოთ მეორე მსოფლიო ომის შედეგებს გერმანიასთან მიმართებაშიო და ნატოს (მისი ეგიდით, აშშ-ის დანაყოფები), თუ უშუალოდ აშშ-ის სამხედრო ბაზები, ამ ხნის განმავლობაში მუდამ იქნებიან გერმანიის მიწაზეო“! — დიახ, აი ასეთი იყო ამერიკელი გენერლის პასუხი! დღესაც, გერმანიის ტერიტორიაზე შემცირებული, მაგრამ „გერმანიის თანხმობით“ განლაგებული 80 000 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე იმყოფება!..

საქართველოში, როდესაც პოლიტიკოსები და ექსპერტები სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და მის სუვერენიტეტზე საუბრობენ, კარგი იქნება თუ გაარჩევენ სუვერენიტეტის „რა ხარისხზეა“ მსჯელობა ამა თუ იმ სახელმწიფოსთან მიმართებაში (თუნდაც, დემოკრატიულ დასავლეთს განეკუთვნებოდეს იგი!) და რომ, არ შეიძლება სერიოზულმა პოლიტიკოსმა შენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია შეადარო ასოციირების, ან ნებისმიერ სხვა საერთაშორისო დოკუმენტს, ვისთანაც არ უნდა იყოს იგი დადებული!.. საფრანგეთის პრეზიდენტმა, გენერალმა შარლ დე გოლმა, როდესაც საფრანგეთის პოლიტიკურ აწმყოსა და მომავალზე ფიქრობდა, მიიღო გადაწყვეტილება უწინარესად, საფრანგეთის მაღალი ხარისხის სუვერენიტეტის და დამოუკიდებლობის გარანტირებულად შენარჩუნების მიზნით, უარი ეთქვა ამერიკული ბაზების (ნატოს ეგიდით) განლაგებაზე საფრანგეთის ტერიტორიაზე (თუმცა, კომუნისტური საფრთხე მასაც ემუქრებოდა!). ამის შედეგად, დღეს, ნატოს წევრი საფრანგეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არც ერთი უცხოური სამხედრო ბაზა (თუნდაც, მოკავშირის!) არ არის განთავსებული, გარდა ფრანგულისა და არც „ბერლინის მსგავსი სკანდალები“ არ ფიქსირდება პარიზში. ვფიქრობ,ადვილად „იპოვეთ მცირე განსხვავება“, — ორი დიდი ევროპული სახელმწიფოს სუვერენიტეტებს შორის!..

ჯუმბერ კირვალიძე,
პოლიტოლოგი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„საქართველოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მოითხოვს, შეწყვიტონ რუსული ტელეარხების ტრანსლაცია

ექსპრეზიდენტ სააკაშვილის პარტია უკრაინის მოვლენების ასახვას არაობიექტურად მიიჩნევს

ძართული ოპოზიციური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რომელსაც ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უდგას სათავეში, მოითხოვს საქართველოში რუსული ტელეარხების მაუწყებლობის აკრძალვას. დეპუტატებმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ უკვე შეიმუშავეს შესაბამისი კანონპროექტი, რომელიც უახლოეს დროში წარდგენილი იქნება საქართველოს პარლამენტის ბიუროში რეგისტრაციისათვის. ოპოზიციური პარლამენტარების სიტყვებით, მიზეზი უკრაინის მოვლენების რუსული ტელეარხებით არაობიექტური გაშუქებაა.

„უნდა გადავწყვიტოთ ეს პრობლემა და უბრალოდ არ ვუყუროთ ამ ტელეარხებს იმიტომ, რომ ისინი უკრაინის შესახებ ისეთ რამეს ამბობენ, რომ, მეჩვენება, ჩვენ ვირტუალურ სამყაროში ვიმყოფებით“, — განუცხადა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებს დეპუტატმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ მიხეილ მაჭავარიანმა.

აღსანიშნავია, რომ თბილისმა რუსული ტელეარხები გამორთო მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ. მიუხედავად ამისა, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, 2012 წელს, საკაბელო ოპერატორებმა განაახლეს რუსული ტელეარხების ტრანსლაცია.

მმართველი კოალიციის წარმომადგენლები ოპოზიციის წინადადებას მიუღებელს უწოდებენ ევროპულ ნორმებთან შეუსაბამობის გამო.

„იქნებ მათ აკრძალვის წიგნიც სურთ? როდესაც მე ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი ვიყავი, მათ მომმართეს ასეთი წინადადებით, ამბობდნენ, რომ ზოგიერთი წიგნის წაკითხვა არ შეიძლება, მოდი, ავკრძალოთ ისინი... ამგვარი აკრძალვები უბრალოდ აბსოლუტურად შეუსაბამოა ევროპულ პერსპექტივასთან“, — უთხრა ჟურნალისტებს თავის კომენტარებში დეპუტატმა მმართველი კოალიციიდან ლევან ბერძენიშვილმა.

ექსპერტების აზრი

გაზეთ „გურია ნიუსის“ რედაქტორმა და რეგიონალური მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ასოციაციის ხელმძღვანელმა ია მამალაძემ „ამერიკის ხმის“ რუსულ სამსახურთან ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ იგი არ ეთანხმება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ინიციატივას რუსული ტელეარხების გამორიცხვის შესახებ საკაბელო ოპერატორების პაკეტიდან. ნებისმიერი მედია-სერვისის აკრძალვა ეწინააღმდეგება სიტყვის თავისუფლების პრინციპებს, მიაჩნია მას. ამავე დროს, მამალაძე იზიარებს ქართული ოპოზიციის შეშფოთებას იმით, რომ რუსული ფედერაციული არხები ცალმხრივად აშუქებენ მოვლენებს უკრაინაში და ავრცელებენ აშკარა დეზინფორმაციას. მიუხედავად ამისა, მისი აზრის თანახმად, ბრძოლა რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ უნდა გახდეს ქართული და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმე, რომლებიც რუსული ფაბრიკაციების საპირისპიროდ, უნდა წარმოადგენდნენ მიუკერძოებელ სურათს იმისა, რაც ხდება უკრაინაში და გამოააშკარაონ „სიცრუე, რასაც რუსული მაუწყებლობა გადმოგვცემს“.

„მგონია, ეს უფრო ეფექტური და კერძო ბრძოლაა დეზინფორმაციის წინააღმდეგ“, — მიაჩნია ია მამალაძეს.

თავის მხრივ, კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტის თავმჯდომარე გია ნოდია მიიჩნევს: იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიები და ამით არის საქართველოსადმი „არამეგობრულად განწყობილი ქვეყანა“ — რუსული პროპაგანდის რეტრანსლაციის აკრძალვა შეიძლება იქნეს გამართლებული ევროპულ კონტექსტსშიც. მიუხედავად ამისა, პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ ამ თემაზე აუცილებელია დისკუსია, ვინაიდან, მისი სიტყვებით, მასობრივი ინფორმაციის მაუწყებლობის აკრძალვის საკითხი, რაც არ უნდა იყოს, მაინც წარმოადგენს „მნიშვნელოვან დილემას“.

მედია-ექსპერტი და ჟურნალისტი ია ანთაძე რუსეთის ტელეარხების მაუწყებლობის აკრძალვას მიიჩნევს პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლის არაეფექტიან საშუალებად. მისი სიტყვებით, ოცდამეერთე საუკუნეში ტელევიზიის გამორთვა, უწინარეს ყოვლისა, „უაზრობაა“, ვინაიდან მსურველებმა შეიძლება შეაღწიონ იმავე მედია-წყაროებში, ინტერნეტის მეშვეობით, როგორც იყო კიდეც, მისი სიტყვებით, იმ დროს, როდესაც 2008 წელს თბილისმა გამოთიშა რუსული ტელეარხები.

„პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლაში უფრო მნიშვნელოვანია ფსონი ჩავიდეთ უფრო ხანგრძლივ შედეგებზე, ვიდრე უბრალოდ გამოვრთოთ ტელეარხები, ესე იგი, მიზანი ისაა, რომ მოსახლეობა არ გახდეს პროპაგანდის მსხვერპლი — არ აქვს მნიშვნელობა — იგი იქნება რუსული თუ ადგილობრივი, ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს კრიტიკული აზროვნების განვითარებას მოსახლეობაში, მათ შორის, საგანმანათლებლო ინსტიტუტებშიც“, — თქვა ია ანთაძემ „ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

იაცენიუკმა თავისი მემკვიდრე დანიშნა, მაგრამ განცხადება გადადგომის შესახებ რადაში არ შეუტანია. ექსპერტები ეძებენ ფარულ მოტივებს

არსენი იაცენიუკის განკარგულებით მთავრობის მეთაურის მოვალეობას მინისტრთა ახალი კაბინეტის ჩამოყალიბებამდე შეასრულებს ვიცეპრემიერი ვლადიმირ გროისმანი. ანალიტიკოსები დავობენ, იყო თუ არა განცხადება გადადგომის შესახებ სამარცხვინო კაპიტულაცია სირთულეების წინაშე, თუ ეს არის პირველი ნაბიჯი პრეზიდენტ პიოტრ პოროშენკოს ერთპიროვნული მმართველობის განმტკიცებისათვის.

* * *

შეერთებულმა შტატებმა უახლოეს პერიოდში უკრაინა შეიძლება ნატოს წევრი გახადოს

არაბლოკური პარტნიორის სტატუსი მისცემს კიევს შესაძლებლობას, მიიღოს ვაშინგტონისგან გაფართოებული დაფინანსება საბრძოლო ტექნიკისა და თავდაცვისი კომპლექსების შესყიდვისა და იჯარისათვის ომის დროს. ამას გარდა, უკრაინა შეძლებს, მონაწილეობა მიიღოს ზოგიერთ კონტრაქტში ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სისტემის ელემენტების შესასყიდად.

* * *

ვენესუელა რუსეთისა და ჩინეთისაგან შეისყიდის შეიარაღების ახალ პარტიებს

„მე ველაპარაკე პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე სი ცზიმინნს, მალე დაიწყებს მუშაობას კომისია, რომ განსაზღვროს, რა შეიარაღება უნდა შევისყიდოთ საბრძოლო ტექნიკისა და თავდაცვის სფეროს განმტკიცებისათვის ჩვენს ქვეყანაში“, — განაცხადა ქვეყნის პრეზიდენტმა ნიკოლას მადურომ.

* * *

MH-17-ის კატასტროფა უბიძგებს ევროკავშირს, უფრო მკაცრი სანქციებისათვის რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, ასეთი აზრი გამოთქვა ობამამ

უკანასკნელ პერიოდში ევროპა, როგორც ჩანს, მაინც დაიწყებს მოქმედებას ამერიკის შეერთებული შტატების მისწრაფების კალაპოტში, განაცხადა პრეზიდენტმა.

„ისე მალე არა, როგორც ჩვენ გვინდა, მაგრამ ისინი ამას გააკეთებენ“, — დააყენა მან წინადადება. ამავე დღეს ობამა ტელეფონით ესაუბრა ჰოლანდიის პრეზიდენტს. ისინი შეთანხმდნენ, რომ სანქციები შეიძლება, გამკაცრდეს, გადმოგვცემს თეთრი სახლი.

სატენდერო მოწვევა

საქართველო

მეორე შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების პროექტი (SLRP II)

IDA 5078-GE; IBRD 8143-GE
გზების მართვის სისტემისთვის საჭირო აღჭურვილობა
SLRPII/G/ICB-02

1. საქართველომ მიიღო კრედიტი და სესხი რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკისგან და განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან მეორე შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების პროექტისთვის (შLRP II) და განზრახული აქვს გამოიყენოს ამ სესხისა და კრედიტის ნაწილი SLRPII/G/ICB-02 ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდების განსახორციელებლად.

2. პროექტის განმახორციელებელი უწყება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ პრეტენდენტებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დეტალური სატენდერო წინადადებები **გზების მართვის სისტემისთვის საჭირო აღჭურვილობის მოსაწოდებლად**. სატენდერო წინადადებების წარმოდგენა შესაძლებელია ერთ ან ორივე ლოტზე.

3. შესყიდვა ჩატარდება საერთაშორისო ტენდერის (ICB) პროცედურებით, რომლებიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში: „შესყიდვები რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტების პირობებით" და სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად ღიაა ნებისმიერი პრეტენდენტისთვის, რომელიც არის მონაწილეობის უფლების მქონე ქვეყნიდან. დაინტერესებული პრეტენდენტები უნდა გაეცნონ მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოს ინტერესთა კონფლიქტის შესახებ 1.6 და 1.7 პარაგრაფებს.

4. დაინტერესებული, ტენდერში მონაწილეობის უფლების მქონე პრეტენდენტები დამატებითი ინფორმაციის მისაღებად უნდა დაუკავშირდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსს ბ-ნ ვახტან რაზმაძეს, ელ-ფოსტა: i; სატენდერო დოკუმენტების გაცნობა შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10-დან 17 საათამდე.

5. საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს:

ლოტი 1: გზების მართვის სისტემისთვის საჭირო აღჭურვილობა (გზის საფარის პროფილის საზომი, გზის სავალი ნაწილისა და საფარის ვიდეო ჩაწერის მოდული, გზის გეომეტრიის (დახრილობა, მრუდები) საზომი)

- პრეტენდენტის მინიმალური ბრუნვა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში თითოეულ წელს უნდა იყოს 150,000 აშშ დოლარი ან მისი ექვივალენტი;
- პრეტენდენტმა უნდა დაადასტუროს, რომ მის მიერ ერთი ან მეტი მსგავსი ტიპის საქონლის მიწოდება დასრულებულია და ხსენებული საქონელი წარმატებით გამოიყენება.
- იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულია იმ საქონლის მიწოდება, რომელსაც თავად არ აწარმოებს, საქონლის მწარმოებლისგან უნდა გააჩნდეს სათანადო უფლებამოსილება შემსყიდველის ქვეყანაში საქონლის მოწოდებაზე. მწარმოებლისგან უფლებამოსილების წერილის წარმოდგენა სავალდებულოა.

ლოტი 2: გზების მართვის სისტემისთვის საჭირო აღჭურვილობა (ტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობის მთვლელები და შეჭიდულობის კოეფიციენტის განმსაზღვრელი)

- პრეტენდენტის მინიმალური ბრუნვა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში თითოეულ წელს უნდა იყოს 70,000 აშშ დოლარი ან მისი ექვივალენტი;
- პრეტენდენტმა უნდა დაადასტუროს, რომ მის მიერ ერთი ან მეტი მსგავსი ტიპის საქონლის მიწოდება დასრულებულია და ხსენებული საქონელი წარმატებით გამოიყენება.
- იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულია იმ საქონლის მიწოდება, რომელსაც თავად არ აწარმოებს, საქონლის მწარმოებლისგან უნდა გააჩნდეს სათანადო უფლებამოსილება შემსყიდველის ქვეყანაში საქონლის მოწოდებაზე. მწარმოებლისგან უფლებამოსილების წერილის წარმოდგენა სავალდებულოა.

დამატებითი დეტალები წარმოდგენილია სატენდერო დოკუმეტაციაში.

6. დაინტერესებულ პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმეტაციის მთლიანი პაკეტის ინგლისურ ენაზე შეძენა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი მიმართვის და არადაბრუნებადი 200 ლარის ან მისი ექვივალენტი თანხის აშშ დოლარში გადახდის შემდეგ. გადახდის ფორმაა პირდაპირი გადარიცხვა მითითებულ ანგარიშზე:

ეროვნულ ვალუტაში გადარიცხვებისთვის:
მიმღები: ხაზინის ანგარიში
ხაზინის ანგარიშის №200 122 900
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ბანკის ძველი კოდი: (220 101 222)
საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი: 302 007 800
სავალუტე ანგარიში: №001 189 362

აშშ დოლარში გადარიცხვებისთვის:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
მიმღები აგენტი:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
ბენეფიციარი ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, თბილისი
SWIFT CODE: BNLNGE22
ბენეფიციარი: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საავტომობილო გზების დეპარტამენტი
IBAN: GE65NB0331100001150207

გადარიცხვების დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის.

მოთხოვნის შემთხვევაში პრეტენდენტს საკუთარი ხარჯით კურიერული ფოსტით გაეგზავნებათ დოკუმენტაცია.

7. სატენდერო წინადადებები მოწოდებული უნდა იქნეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2014 წლის 8 სექტემბრის 17:00 საათისა** ადგილობრივი დროით. წინადადებები ელექტრონული ფორმატით არ მიიღება. დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება. წინადადებები გაიხსნება პრეტენდენტების იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც გადაწყვეტენ პირადად დაესწრონ ტენდერს **2014 წლის 8 სექტემბერს 17:00 საათზე** ადგილობრივი დროით.

8. ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, კერძოდ:

ლოტი 1: 1,500 (ათას ხუთასი) აშშ დოლარის ან კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის ოდენობით.

ლოტი 2: 1,200 (ათას ორასი) აშშ დოლარის ან კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის ოდენობით.

ორივე ლოტზე სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, მოწოდებული უნდა იქნეს ერთი სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ჯამურ თანხაზე, როგორც ეს მოთხოვნილია ზემოთ. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ძალაში უნდა იყოს სატენდერო წინადადები მოქმედების ვადის (90 დღე) გასვლის დღიდან 28 დღის განმავლობაში (ე.ი 90 დღე+28 დღე=118 დღე)

9. ზემოთ ნახსენები მისამართებია:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო
შესყიდვების სამმართველო IV სართული
ბ-ნი ვახტანგ რაზმაძე, საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი
ტელ: +995 322 37-05-08 დამ. 218
ფაქსი: +995 322 31-30-34
ელ. ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

Invitation for Bids

Georgia

Second Secondary and Local Roads Project (SLRPII)

IDA 5078-GE; IBRD 8143-GE
Road Management System Equipment
SLRPII/G/ICB-02

1. Georgia has received a credit and a loan from the International Bank for Reconstruction and Development and International Development Association towards the cost of the Second Secondary and Local Road Project (SLRP II), and it intends to apply part of the proceeds of this loan and credit to payments under the Contract for **SLRPII/G/ICB-02**.

2. The project implementing agency, the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia now invites eligible bidders to submit their bids in sealed envelopes for supply of **Road Management System Equipment**. The Bids are invited for one or both Lots as specified below.

3. Bidding will be conducted through the International Competitive Bidding (ICB) procedures specified in the World Bank's *Guidelines: Procurement under IBRD Loans and IDA Credits*, and is open to all bidders as defined in the Procurement Guidelines. Interested Bidders should study paragraphs 1.6 and 1.7 setting forth the World Bank's policy on conflict of interest.

4. Interested eligible bidders may obtain further information from Mr. Vakhtang Razmadze, Head of Foreign Projects Unit of Roads Department of Georgia, email: i, and inspect the Bidding Documents at the address below during 10:00 A.M till 17:00 P.M.

5. Qualifications requirements include:

LOT-I - Road Management System Equipment (Roughness, Geometry and Video Logging System):

- The bidder shall have a minimum turnover of 150,000 US Dollars or equivalent in each of the past three years;
- The Bidder shall demonstrate that it has completed supplies under one or more contracts for supply of similar type of goods. Submission of respective documents confirming successful delivery of goods to the Purchaser is mandatory.
- If Bidder is not manufacture the Bidder shall be duly authorized by the goods' manufacturer or producer to supply the goods in the Purchaser's country. Submission of Manufacture's Authorization Letter from goods' producer is mandatory.

LOT-II - Road Management System Equipment (Traffic counters and skid resistance measurement equipment):

- The bidder shall have a minimum turnover of 70,000 US Dollars or equivalent in each of the past three years;
- The Bidder shall demonstrate that it has completed supplies under one or more contracts for supply of similar type of goods. Submission of respective documents confirming successful delivery of goods to the Purchaser is mandatory.
- If Bidder is not manufacture the Bidder shall be duly authorized by the goods' manufacturer or producer to supply the goods in the Purchaser's country. Submission of Manufacture's Authorization Letter from goods' producer is mandatory.

Additional details are provided in the Bidding Documents.

6. A complete set of Bidding Documents in English may be purchased by interested bidders on the submission of a written Application to the address below and upon payment of a non refundable fee of 200 Georgian Lari or equivalent in USD. The method of payment will be by the direct deposit to the following account:

For GEL transfer:

Name of the recipient: Treasury Account
Treasury account No. 200 122 900
Recipient Bank: State Treasury
Bank Code: TRESGE22
Old Code of the Bank (220 101 222)
Budget Income Treasure Code: 302 007 800
International Currency: No 001 189 362

For USD transfer:
Intermediary:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
Receiving agent:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
Beneficiary's bank: NATIONAL BANK OF GEORGIA, TBILISI
SWIFT CODE: BNLNGE22
Beneficiary: (Roads Department of the Ministry of Regional Development of Georgia)
IBAN: GE65NB0331100001150207
Payment Designation: Tender fee for the Roads Department

If requested, the documents will be sent by courier service at the applicant's expense.

7. Bids must be delivered to the address below at or before **September 8, 2014, 17:00 Hours local time.** Electronic bidding will not be permitted. Late bids will be rejected. Bids will be opened in the presence of the bidders' representatives who choose to attend in person at the address below at **September 8, 17:00 Hours local time.**

8. All bids must be accompanied by a Bid Security as follows:

Lot I: 1,500 (One Thousand Five Hundred) United States Dollars or equivalent in a freely convertible currency;

Lot II: 1,200 (One Thousand Two Hundred) United States Dollars or equivalent in a freely convertible currency.

In case of bidding for both lots, one Bid Security for the combined amount, as required, shall be submitted. The Bid Security shall remain valid for a period of 28 days beyond the validity period of the bids (i.e., 90 days + 28 days = 118 days).

9. The address referred to above is:

Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Mr. Vakhtang Razmadze, Head of Foreign Projects Unit of Roads Department
12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160 Georgia, IV floor
Tel: + (995 322) 37-05-08 ext. 218
Fax: + (995 322) 31-30-34
E-mail: info@georoad.ge
Web Site: www.georoad.ge

◎ ფეხბურთი

ევროპა მარტო თამაში როდია!

ევროტურნირებს წმინდა საფეხბურთო კომპონენტებთან ერთად ისეთი „წვრილმანებიც“ ამკობს, როგორიცაა უსაფრთხოების დაცვა და პრესკონფერენციების გამართვა, თუმცა, არც ესაა მთავარი. მნიშვნელოვანია, როგორ გაართმევ თავს დაკისრებულ მოვალეობას.

თუ საჩხერის „ჩიხურასა“ და თურქეთის „ბურსასფორის“ თბილისური მატჩის შემდეგ ჯერ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე, ხოლო შემდეგ მის საპრესკონფერენციო დარბაზში განვითარებულ მოვლენებს გავითვალისწინებთ, ორგანიზატორებმა, რბილად რომ ვთქვათ, „ჩაისვარეს“.

ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანია, რომ ტრიბუნებზე სტუმართა ქომაგების აღშფოთების პროვოცირება უხამსი ჟესტით მუმლაძემ მოახდინა, ხოლო პრესკონფერენციის შემდეგ ქართველ და თურქ ჟურნალისტთა შორის გაჩაღებული მუშტი-კრივის საბაბი დარბაზში თურქი თარჯიმნის არყოფნა გახდა – ფაქტია, რომ მასპინძლებმა უეფას მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილეს.

„ჩიხურა“ – „ბურსასფორი“ 0:0
(პირველი მატჩი – 0:0)
(პენალტებით – 4:1)

რაც შეეხება თვით ბრძოლას, პირდაპირ უნდა ითქვას – ზემოიმერელებმა ნამუსი მოგვწმინდეს. აღსანიშნავია, რომ სოსო ფრუიძემ ტაქტიკური დუელი მოუგო სახელოვან კოლეგას შენოლ გიუნეშს, ხოლო ის, რაც საბოლოოდ სარბიელზე მოხდა, რომ იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო. მოკლედ, მადლობა „ჩიხურას“, რომელიც ევროპის ლიგის III საკვალიფიკაციო ეტაპზე ბაქოს „ნეფთჩის“ შეხვდება (30 ივლისს აზერბაიჯანში და 7 აგვისტოს – შინ).

„სპარტაკი“ (ტრნავა) – „ზესტაფონი“ 3:0
(პირველი მატჩი – 0:0).

გია პლატონიშვილი.

◎ რაგბი

სეუ-ს ახალი სიმაღლე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის შვიდკაცა რაგბის გუნდი „სეუ“ 29-30 ივლისს ჰოლანდიის ქალაქ როტერდამში დაგეგმილ ევროპის საუნივერსიტეტო თამაშებში გამოვა. გუშინ საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ბესიკ ხამაშურიძემ და კაპიტანმა გიორგი ჭყოიძემ პრესკონფერენცია გამართეს და გუნდის მზადების შესახებ ისაუბრეს.

პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ გუნდის სათამაშო ფორმა წარადგინეს. შეგახსენებთ, რომ „სეუ“ 2013 წელს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ჩატარებულ ევროპის საუნივერსიტეტო ჩემპიონატზე პირველ ადგილთან ერთად საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დაწესებულ ყველა ინდივიდუალურ ჯილდოს დაეუფლა. კერძოდ, გუნდის მოთამაშეებმა მიიღეს ტურნირის საუკეთესო მოთამაშის და ბომბარდირის პრიზები.

გეჟან დოლიძე.

◎ ცხელ გულზე

კახაბერ ცხადაძე ბაქოს „ინტერიდან“ მიდის

კახაბერ ცხადაძე ბაქოს „ინტერის“ მთავარი მწვრთნელი აღარაა. ქართველმა სპეციალისტმა აზერბაიჯანული კლუბი მას შემდეგ დატოვა, რაც „ინტერი“ შვედურ „ელფსბორგს“ ვერ გაუმკლავდა და ევროპის ლიგას გამოეთიშა.

შეგახსენებთ, რომ ბაქოელებს გასვლითი მატჩი 1:0 ჰქონდათ მოგებული, შინ კი ასეთივე ანგარიშით წააგეს და პენალტების სერიაში 3:4 დამარცხდნენ. „ნერვები დამაწყდა და წასვლა მინდა. თუკი ჩემს გადადგომას მიიღებენ, მივდივარ“, – განაცხადა თამაშის შემდეგ ცხადაძემ.

კახაბერმა სასტარტო შემადგენლობაში 4 ქართველი ფეხბურთელი დააყენა. საბოლოოდ გიორგი ლომაიამ (ყვითელი ბარათიც მიიღო) და ალექსანდრე ამისულაშვილმა შეუცვლელად ითამაშეს, ბაჩანა ცხადაძე პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს, მოედანზე ყველაზე ცოტა დრო კი ლაშა სალუქვაძემ გაატარა.

ლაშა უკვე მე-3 წუთზე გააძევეს და პენალტიც დაინიშნა, თუმცა ფრიკმა პარტნიორები დააღალატა, თამაშიდან ერთადერთი გოლი კი ჰოლმენმა პირველი ტაიმის დამატებულ წუთზე გაიტანა.

პენალტების სერიაში აზერბაიჯანული გუნდის ფეხბურთელებმა სამი ცდა გააცუდეს და უიღბლოთა შორის თბილისის „დინამოს“ ყოფილი ესპანელი ფეხბურთელი ალვაროც გახლდათ. მან შეუცვლელად ითამაშა და გაფრთხილებასაც გამორჩა. სამაგიეროდ, თერთმეტმეტრიანი ზუსტად შეასრულა ამისულაშვილმა.

გიორგი შოთაძე.

◎ პერსპექტივა

მექსიკა ფორმულა ერთის კალენდარს დაუბრუნდა

მომავალ სეზონში ფორმულა ერთის კალენდარში მექსიკის დიდი პრიზი ბრუნდება, რომელიც უკვე 22 წელია, არ გამართულა. უნდა ითქვას, რომ ეს რბოლა ამ სეზონის კალენდარშიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ მეხიკო სიტის ტრასის რეკონსტრუქცია დროულად ვერ დასრულდა და ამიტომ დაბრუნება ერთი წლით გადაიდო.

ეს ინფორმაცია სპეციალურად მეხიკოში გამართულ პრესკონფერენციაზე ბერნი ეკლსტოუნმა გაავრცელა. „ვგრძნობ, ფ1-ში მექსიკის დაბრუნებისთვის კარგი დროა. ვფიქრობ, ეს პარტნიორობა ორივე მხარეს მრავალი წლის განმავლობაში ბევრ ხეირს მოუტანს“, – განაცხადა ეკლსტოუნმა.

მექსიკის დიდი პრიზის გათამაშება მეხიკო სიტიში არსებულ ტრეკზე გაიმართება, რომლის სიგრძეც 4.4 კილომეტრია. მისი კონფიგურაცია საბოლოოდ დადგენილი არაა, თუმცა ორგანიზატორები ირწმუნებიან, რომ ტრიბუნები წელსვე მზად იქნება, ხოლო რაც შეეხება გზის საფარს, მას ზაფხულამდე დააგებენ.

ჯერ გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ კალენდარში რბოლა ალბათ ამერიკული ეტაპის წინ ან შემდგომ გაიმართება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მომავალ სეზონში კალენდარს ინდური ეტაპი უბრუნდება და ასევე აზერბაიჯანის დიდი პრიზი ემატება, გამოდის, რომ კალენდარში 22 რბოლა შევა. თუმცა, ეს ნაკლებად მოსალოდნელია და ეკლსტოუნი ალბათ რომელიმე რბოლას (ნაკლებად პოპულარულს) გაიმეტებს. აღსანიშნავია ისიც, რომ შესაძლებელია ჰოკენჰაიმის რბოლის შემდეგ ერთ სეზონში ორი გერმანული ეტაპი ისევ დაბრუნდეს.

ცნობისათვის, ბოლოს მექსიკური დიდი პრიზი 1992 წელს გაიმართა. მექსიკელებმა რამდენჯერმე სცადეს დაბრუნება, რაც ბერნიმ არ დაუშვა მაგრამ ახლახანს ამერიკელი პრომოუტერის, ყოფილ მრბოლ ტავო ჰელმუნდის „შემოტევას“ ვერ გაუძლო და გატყდა. სხვათა შორის, ჰელმუნდი ოსტინის ტრეკის აშენების ერთ-ერთი ინიციატორი იყო, მაგრამ პროექტის ბოლო ეტაპზე ის საქმეს ჩამოაშორეს, რის შემდეგაც მან მექსიკაზე გადაიტანა აქცენტი. თუმცა, თავად ამბობს, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ეკლსტოუნს ოსტინის თაობაზე უთანხმდებოდა, მექსიკის დიდი პრიზის აღდგენაზეც ოცნებობდა.

მანუჩარ გიორგაძე.

◎ ჩოგბურთი

კვიტოვას სლოვაკი გაწვრთნის

ჩეხმა პეტრა კვიტოვამ უიმბლდონის ფინალში კანადელ ეჟენი ბუშარს მოუგო და მეორედ იმარჯვა ამ სადიდსლემო ტურნირზე. ტრიუმფიდან ცოტა ხნის შემდეგ კი 24 წლის პეტრამ ფიტნეს-მწვრთნელი მარკ ვშეტიჩკა გაათავისუფლა. კვიტოვას ახალი მწვრთნელი ფიზიკურ მომზადებაში ბრანისლავ ბუნძიკი იქნება.

ამის თაობაზე პეტრა საკუთარი ტვიტერის მეშვეობით იუწყება. სლოვაკი ბუნძიკი სადღეისოდ რეიტინგსიის მეოთხე ნომერ კვიტოვას US Open Series-ის ტურნირებზე დაეხმარება, უმთავრესი შეჯიბრება კი აშშ-ის ღია პირველობაა, რომელიც სტარტს 25 აგვისტოს აიღებს.

კობა კობახიძე.

◎ ინტერნეტიდან

მოდელმა ინგლისელები გააკრიტიკა

მთელს დიდ ბრიტანეთში ნამეტნავად პოპულარულმა მოდელმა და ტანმოვარჯიშემ ანასტასია ჰარისმა ერთ-ერთ ინგლისურ ბულვარულ გაზეთთან საუბრისას პირი მოაღო და ინგლისის საფეხბურთო ნაკრებზე ისეთი მწარე-მწარეები ილაპარაკა, ბრიტანოფობსაც კი ცრემლებს რომ დააადენდა.

ეს შხვართ-კეკლუც-კოხტაპრუწა გოგონა ამბობს, რომ ინგლისის ნაკრები მის ქვეყანასა და ინგლისელ ხალხს არცხვენს და ასეთი გუნდის გულშემატკივრობა (თუნდაც მშობლიური ქვეყნის ნაკრები იყოს) ძალიან რთულია. ანასტასია ინგლისელ ფეხბურთელებს სხვა ხელობის დაწყებასაც ურჩევს. ანასტასია ჰარისი ფეხბურთით ყოველთვის ინტერესდებოდა და არაერთხელ გაუკეთებია უცნაური და ორიგინალური განცხადებები. ერთხელ მან ჟოზე მაურინიუს „ყველაზე არასასურველი მამაკაციც“ კი უწოდა...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ო, ენავ ჩემო!

გააჩნია ამ კაცს სახლ-კარი?

სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, მოდი, გავარკვიოთ, რამდენად სწორად არის აქ ნახმარი „გააჩნია“ ზმნა? როგორც ჩვენი ენათმეცნიერნი გვეუბნებიან, ქართულ ენაში არსებული ქონა-ყოლის აღმნიშვნელი რამდენიმე ზმნა, კერძოდ, „გააჩნია“, ჩვეულებრივ, უქონლობის გამოსახატავად უფრო იხმარება, ვიდრე მქონებლობისა.

მათი ეს ნააზრევი და დებულებად ჩამოყალიბებული მოსაზრება (და არამხოლოდ იგი) საკმაოდ დიდი ხნის წინათ პარლამენტის სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტის სხდომაზე მისმა თავმჯდომარემ ქალბატონმა მანანა გიგინეიშვილმა გამოთქვა. თავს ნებას მივცემთ და მცირეოდენი შემოკლებით მოვიყვანთ მისი მოხსენების იმ ნაწილს, რომელიც ამ საკითხს ეხება.

„ქართველებს რამდენიმე ზმნა გვაქვს, რაიმეს ფლობას, რაიმეს ქონას რომ აღნიშნავს: „ჰყავს“, „აქვს“, „ეკუთვნის“, „ფლობს“, „მოეპოვება“, „მოექეცება“, „აბადია“, „გააჩნია“. ყოველი მათგანი მისთვის დამახასიათებელი ელფერის მქონეა და ყოველ მათგანს თავისი შეუცვლელი დანიშნულება და მკვიდრი ადგილები აქვს ენაში. „აბადია“, „მოეპოვება“, „მოექეცება“, „გააჩნია“ ქონების სიმცირის ან უფრო ხშირად უქონლობას გამოხატავს და მეტწილად უარყოფით ნაწილაკს იგუებს („არ მოეპოვება“, „არ აბადია“, „არ გააჩნია“). გვხვდება ზოგჯერ დადებით ფორმაშიც: „ერთი სახლი აბადია“. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სახლის გარდა, დიდი არაფერი აბადია. ასევეა „მოეპოვება“ და „გააჩნია“ ზმნებიც („ესლა გამაჩნია“, „ცოტაღა მომეპოვება“). ამასთანავე, თითოეულ მათგანს გამოყენების თავისი ფაქიზი ნიუანსი აქვს. სწორია: „სახლი არ აბადია“, შეიძლება ასეც: „სახლი არ გააჩნია“. მაგრამ „იდეები არ აბადია“ — არ ვარგა. სწორია: „იდეები არ გააჩნია“. „გააჩნიას“ აქვს სხვა მნიშვნელობაც („ბავშვსაც გააჩნია, „გააჩნია, რაზეა საუბარი“?). „გააჩნია დადებით ფორმაში შეიძლება ვიხმაროთ მხოლოდ გარკვეულ შემთხვევაში:

„იმას რა გააჩნია?“ ეს კითხვა უკვე ნიშნავს, რომ იმას დიდი არაფერი გააჩნია.

ზმნათა ეს ნაირგვარობა ჩვენი ერის სიმდიდრისა და მოქნილობის მაუწყებელია. დღეს კი „გააჩნია“-მ წალეკა ყველაფერი. „აქვს“, „ჰყავს“ ლამის გადავარდეს ხმარებიდან. ასევე გაქრა დანარჩენი ზმნებიც... არ არსებობს გაზეთი, ტელე-რადიოგადაცემა, ყველა ჩამოთვლილი ზმნის ადგილი „გააჩნია“-ს რომ არ ეკავოს... უნდა დავუბრუნოთ ქართულს მისი ბუნების გაუთვალისწინებლობით გაძევებული ზმნები და „გააჩნია“-საც შევუნარჩუნოთ თავისებურება და დანიშნულება“ (უფრო დაწვრილებით იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1997 წლის თებერვლის 40-42 ნომრები — **ავტ.**).

მაშასადამე, სათაურში გამოტანილი **ფრაზა უნდა გავასწოროთ და ასეთნაირად ჩამოვაყალიბოთ: „აქვს ამ კაცს სახლ-კარი?“**

ამ კითხვას სამნაირი პასუხი შეიძლება გავცეთ: თუ აქვს: „აქვს ამ კაცს სახლ-კარი“; თუ არა აქვს: „არა აქვს (ან: არ გააჩნია) ამ კაცს სახლ-კარი“; თუ მხოლოდ სახლ-კარი აქვს და გვინდა გავამძაფროთ უქონლობის გამოხატვა: „ამ კაცს სახლ-კარიღა გააჩნია (ან: აბადია)“.

თუ ამ წესს მოვიმარჯვებთ და გავასწორებთ ქვემოთ მოყვანილ მაგალითებს, მივიღებთ შემდეგ ფორმებს:

„როგორც ყოველ მოკვდავს, მასაც **გააჩნია** (უნდა იყოს: **აქვს** ან: **მოსდის**) შეცდომები“; „ქართულ კინოს ისეთი ღრმა ტრადიციები **გააჩნია** (უნდა იყოს: **აქვს**), რომ...“ „ამგვარი უფლება ნებისმიერ (ვამჯობინებდი: რომელიც გნებავთ ან ყოველ. — **ავტ.**) მოქალაქეს **გააჩნია** (უნდა იყოს: **აქვს**) საბუთები“.

მრავალთაგან მხოლოდ ეს მაგალითები შემოგთავაზეთ, მაგრამ ერთი მაინც მოვიტოვეთ ბოლოსთვის. აი ისიც:

„მას **ძალუძს...** საკუთარი ბანკების მეშვეობით დააფინანსოს ესა თუ ის პოლიტიკური ძალა“. ამით იმის თქმა გვინდოდა, რომ ქართულში კიდევ არის რამდენიმე ზმნა, რომლებიც **უარ**ნაწილაკოდ, ესე იგი დადებითი მნიშვნელობით არ უნდა ვიხმაროთ.

ეს ზმნებია **აუდის, ძალუძს** და მისთ. ამიტომ ზემოთ მოყვანილ ფრაზაში **ძალუძს** ზმნა უნდა შეეცვალოთ და მივიღებთ ასეთ წინადადებას: **„მას შეუძლია (**ან: **უნარი შესწევს** ან: **აქვს იმის შესაძლებლობა... საშუალება,** რომ) საკუთარი ბანკების მეშვეობით დააფინანსოს ესა თუ ის პოლიტიკური ძალა“.

მაშასადამე, მსგავს კონტექსტში უნდა ვთქვათ ხოლმე: **არ ძალმიძს, არ ძალუძს, არ ძალედვა, ვერ აუდის** და სხვ.

ამით ამაღლებით თუ ვერა, იმას მაინც მოვახერხებთ, რომ ერთი ბოძი შევუდგათ ქართული სიტყვის კულტურას.

ოთარ კაპანაძე

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 568 82-09-84..

გახსენება

ალექსი (ტიბო) ნოზაძე

ერთი წელი შესრულდა ბატონი **ალექსი ნოზაძის** გარდაცვალებიდან. მისი სახით რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტს დააკლდა ერთ-ერთი თვალსაჩინო თანამშრომელი, მობილური მანქანების განყოფილების ხელმძღვანელი, მეცნიერებათა დოქტორი.

ბატონი ალექსი მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში მუშაობდა მისი დაარსების დღიდან, ხოლო 1973 წლიდან გარდაცვალებამდე — 40 წლის განმავლობაში, ხელმძღვანელობდა ამ განყოფილებას. იგი მრავალმხრივ განათლებული ადამიანი იყო, ავტომობილებისა და ტრაქტორების დარგის ბრწყინვალე სპეციალისტი შესანიშნავად ერკვეოდა მექანიკის, მექატრონიკის, ელექტრონიკის საკითხებში. მისი უშუალო მონაწილეობით პირველად საქართველოში შეიქმნა ტრაქტორის ავტომატური მართვის უკონტაქტო ფოტოოპტიკური სისტემა, რომელმაც შემდეგ წარმატებით გაიარა სახელმწიფო გამოცდები. იყო 90 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, რომელთა შორის 30 გამოგონება და პატენტია.

1993-1998 წლებში, მაშინ, როდესაც ქვეყნის თავდაცვას უჭირდა კვალიფიციური კადრები, ბატონი ალექსი მსახურობდა საინჟინრო ჯარების სამმართველოში სამმართველოს უფროსის მოადგილედ შეიარაღების დარგში. აღსანიშნავია, რომ მან აქაც გამოაჩინა თავისი მაღალი პროფესიონალიზმი, რისთვისაც დაჯილდოებული იყო „ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით“.

შესანიშნავი ოჯახიშვილის, ბრწყინვალე მეცნიერ-მექანიკოსის, სამაგალითო მოქალაქისა და ერთგული მეგობრის ხსოვნა მუდამ დარჩება მისი ახლობლებისა და კოლეგების გულში.

სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის კოლექტივი

ლია, გურამ გვეტაძეები თანაუგრძნობენ ლაურა, შოთა გორგოძეებს შვილის

გიას

გარდაცვალების გამო.

თენგიზ ქავთარაძე, ზაურ ფხალაძე, მიხეილ სალაძე, თემურ კუჭუხიძე, ზურაბ მსხვილიძე, თემურ მურღულია სამძიმარს უცხადებენ შოთა ვარლამის ძე გორგოძეს შვილის

გია გორგოძის

გარდაცვალების გამო.

გურამ ახალაია ოჯახით თანაუგრძნობს ბატონ შოთა გორგოძეს შვილის

გია გორგოძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის ახლობლებს და ნათესავებს.

◎ ფსიქოლოგიური პრაქტიკუმი

შენ და სამყარო

● არავინ იცის, რა არის სიკეთე და რა არის ბოროტება;

● შენ არ იცი, თუ რა სურს სამყაროს;

● არ არსებობს ის, რასაც „მართალს“ და „არამართალს“ უწოდებენ, შენთვის უცნობია, თუ რა რას წარმოადგენს;

● არ არსებობს „ცუდი“, არსებობს მხოლოდ ის, რაც გულს გტკენს;

● არ არსებობს „კარგი“, არსებობს მხოლოდ ის, რაც გულს გიხარებს;

● სამყარო საიმისოდ ძალიან დიდია, რომ შენ მისთვის ზიანის მოტანა შეგეძლოს;

● შესაძლოა, შენი შეცდომები სწორედ ისაა, რაც სამყაროს სჭირდება;

● ნუ ეძებ ჭეშმარიტებას, იგი არ არსებობს. მაგრამ თუ ის არსებობს კიდეც, შენ ის არ გჭირდება;

● ნუ ეძიებ ცხოვრების არსს, რადგან თუკი ის მაინც არსებობს, ცხოვრების ფარგლებს გარეთ ძევს;

● როგორ განსაზღვრავ იმის მიზანს, რასაც აკეთებ? და განა ეს მიზანი შენ გეკუთვნის?

● ნუ ღელავ საკუთარი თავის გამო. სინამდვილეში სამყაროსთვის შენ იმდენად ძვირფასი ხარ, რომ ტყუილად არ დაიღუპები;

● ნუ ეძიებ საკუთარ ბრალს, შენ არაფერში არა ხარ დამნაშავე;

● ნუ იდარდებ იმ გზაზე, რომლითაც სხვას მიმართავ — განა შენ თავად იცი, თუ რომელი გზაა ჭეშმარიტი და რომელი — მცდარი?

● თუკი რასაც აკეთებ გიძნელდება, დაფიქრდი, გჭირდება კი ეს?

● აკეთე მხოლოდ ის, რაც ყველაზე იოლად გამოგდის, მაგრამ ამის საკეთებლად ძალ-ღონე არ დაიშურო;

● თუკი რაღაცას შემთხვევით აკეთებ, მაშასადამე, ამას განზრახ აკეთებ;

● მხარი დაუჭირე იმას, რაც მოგწონს და დაუსხლტი იმას, რაც არ მოგწონს;

● თუკი შეგიძლია საკუთარი შეცდომის გამოსწორება, მაშასადამე, ჯერ კიდევ არ შემცდარხარ.

● ყველაფერი რაც ხდება, დროულია.

● ზოგჯერ სწორი გადაწყვეტილების ძიება შეცდომაზე ძვირი დაგიჯდება;

● რაც ხდება, შენი ნების გარეშე ხდება, მაგრამ ამის მიღება ან არმიღება შენი ნებაა;

● თუკი გზაში ეჭვი გეპარება, მეგზური აიყვანე, თუ დარწმუნებული ხარ — მარტოკამ იარე;

● მხოლოდ მარტოკაა ძლიერი, შენ თავად შეგიძლია აირჩიო, როგორი იყო;

● ყოველი ადამიანი ეულია. ძლიერი იღებს და ლოცავს თავის მარტოობას, სუსტი გაურბის მას;

● იყავი მშვიდი და ყურადღებიანი ქვეყნის მიმართ, მაშინ ძალის მომენტიც არ გამოგრჩება;

● როცა საკუთარი თავის შესახებ გაგებას სხვისგან ცდილობ, ამით შენზე ძალაუფლებას აძლევ მას. ამიტომ თავად იყავი იმის საზომი, რაც შენ თავს ხდება;

● დალოცე ხელიდან გაშვებული შესაძლებლობები, და დიდი შესაძლებლობები ამით მოიპოვე;

● გაეცი — იოლად, დაკარგე — იოლად, დაემშვიდობე — იოლად;

● ნუ იდარდებ იმაზე, რომ ცოტა სიხარული გქონდა, ამით კიდევ ერთი დარდი მოგემატება;

● მტერი შეიყვარე, რათა მისი დაძლევა შეძლო;

● თუკი მტერი უეცრად დაგესხა თავს, მაგრამ შენ ჯერ კიდევ ცოცხალი ხარ, მაშინ იგი შენს ხელთაა;

● რაც უფრო წამგებიანია ვითარება, მით უფრო მომგებიანია იგი;

● ნუ გეშინია იმის, ვინც შენი ნების გატეხას ცდილობს, რადგან ის სუსტია;

● ჭეშმარიტი შურისგება უგულებელყოფაა;

● როცა თმობ, შენ გამოცდას უძლებ;

● დათმე, რათა წინააღმდეგობა დაძლიო;

● ნუ ეცდები მოწინააღმდეგეზე ძლიერი იყო, მაგრამ ეძიე მისი სუსტი ადგილები;

● როცა მტერი გიყვარს, მაშინ მას უკეთ შეიცნობ. რაც უფრო მეტად იცნობ მას, მით უფრო მეტი უპირატესობა გაქვს მასზე;

● გამარჯვება ყოველთვის შესაძლებელი არ არის, მაგრამ უძლეველად გახდომა ყოველთვის შეიძლება. გამარჯვება მოწინააღმდეგეზეა დამოკიდებული. უძლეველობა ისევ შენშია.

● ვინც არ უნდა იყოს შენი მოწინააღმდეგე, ეცადე, მასში ყოველთვის დაინახო ადამიანი. და მალევე დარწმუნდები, რომ ეს მიდგომა უდიდეს უპირატესობას განიჭებს;

● მოუსვენრობისა და განგაშის მორევში ეშვები, როცა საკუთარ წარმატებას ქების თუ განკიცხვის საზომით უდგები;

● ნუ დაფიქრდები იმაზე, საით განაგრძო გზა, როცა დაკიდებული ხიდის შუაში დგახარ;

● როცა აკეთებ — ახლავე გააკეთე, თორემ მერე ამას ველარასდროს ვერ გააკეთებ;

● შენ ვერასდროს იტყვი, თუ სად მიდიხარ, შეგიძლია, მხოლოდ იმის თქმა, თუ სად მისვლის იმედი გაქვს.

დღესასწაული

მთავარანგელოზი გაბრიელი

26 ივლისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს კრებას მთავარანგელოზ გაბრიელისა.

...ცნობილია, რომ სახელი გაბრიელი ებრაულ ენაზე „ღმრთის ძალას“ ნიშნავს.

მთავარანგელოზი გაბრიელი წმინდა წერილში რამდენჯერმე იხსენიება, როგორც ზეციური მაცნე, რომელსაც ღმერთი აგზავნის, რათა ადამიანებს, კაცთა მოდგმის ხსნის შესახებ თავისი გეგმები აუწყოს.

მაგალითად მთავარანგელოზი გაბრიელი რამდენჯერმე გამოეცხადა დანიელ წინასწარმეტყველს და მას მესიის მოსვლის, ანტიქრისტეს დევნისა და სოფლის აღსასრულის საიდუმლოებანი გაუმხილა. ძე ღმრთისას სოფლად მოსვლის წინ, მთავარანგელოზი გაბრიელი მღვდელ ზაქარიას ტაძარში გამოეცხადა და მას წინამორბედის (ნათლისმცემელი) საკვირველი ჩასახვის შესახებ აუწყა.

ექვსი თვის შემდეგ იგი ნაზარეთში ქალწულ მარიამს გამოეცხადა, და მას ქრისტე მაცხოვრის დედად მისი არჩევის შესახებ აცნობა.

ამბობენ, მთავარანგელოზი გაბრიელი, გეთსიმანიის ბაღში ლოცვისას მაცხოვრის გასამხნევებლად გამოაგზავნეს, შემდეგ კი ღმრთისმშობელს მიძინების (მისი) დღე აუწყა. აი, რატომ უწოდებს ეკლესია საღმრთიმსახურო წიგნებში მთავარანგელოზ გაბრიელს „სასწაულების მსახურს“.

P. S. ხატებზე მთავარანგელოზი გაბრიელი ზოგჯერ სამოთხის რტოთი (თეთრი ზამბახით) ხელში გამოიხატება, რომელიც გადმოცემის მიხედვით მან ქალწულ მარიამს ხარების დღეს მიართვა.

გიული ლიპარტია

ქართული ფლორის საოცრება

„სალხინო“ უებარი წამალია

„სალხინო“ აწესრიგებს შარდსასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. რეკომენდებულია მასტოპათიების, ჭრილობების, კანის, ლორწოვანი, ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი სისტემის ანთებითი დაავადებების დროს. რინიტის, ბრონქიტის, პულპიტის, გინგივიტის, პარადონტიტის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ჰეპატიტის, ნეფრიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, პროსტატიტის, რადიკულიტის, ბუასილისა და სხვა ანთებითი პროცესებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობა-პროფილაქტიკისათვის. აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედებას.

„სალხინო“ სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭისა და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს, გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ **„სალხინოს“** მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

„სალხინოში“ შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებული და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნის ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

„სალხინო“ იკითხეთ აფთიაქებში.

- **გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.**
- **გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.**

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge

დაიჯესტი

ბაქტერიები - დამცველები

ბაქტერიები, რომლებიც არიან სისხლძარღვებში, გვიცავენ თრომბებისაგან, სტრესი კი მათ ხოცავს, ასეთ დასკვნამდე მივიდნენ მეცნიერები ბირმინჰემის უნივერსიტეტიდან (აშშ).

ჩვეულებრივად ბაქტერიები ცხოვრობენ სისხლძარღვის კედელზე ბიოფირის ფორმით, მჭიდროდ ეკვრიან ერთმანეთს და ზედაპირს. ამ ფირებს შეუძლიათ, დაფარონ ქოლესტერინის ბალთები და ამრიგად გახადონ ისინი უფრო მაგრები. მაგრამ სტრესის ჰორმონების მოქმედებით ბიოფირი იშლება, და იმის ალბათობა, რომ ქოლესტერინის ბალთა მოწყდება და იცურავებს სისხლძარღვებში, სანამ არ შექმნის სადმე თრომბს, იზრდება. არტერიების დაცობა კი — ეს ინფარქტებისა და ინსულტების მიზეზია.



მომავალ მამებს

მობილური ტელეფონების ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას შეუძლია, შეამციროს სპერმის ხარისხი და მამაკაცების შანსები — გახდნენ მამები — ამტკიცებენ ბრიტანელი მეცნიერები.

მათ მოაწყვეს ათი გამოკვლევის მიმოხილვა დაახლოებით 1,5 ათასი ადამიანის მონაწილეობით. სპერმის ხარისხს აფასებდნენ სპერმატოზოიდების მოძრაობის, სიცოცხლისუნარიანობისა და კონცენტრაციის მიხედვით. აღმოჩნდა, რომ მამაკაცების სასქესო უჯრედების რაოდენობა სპერმაში, რომელსაც აქვს ნორმალური მოძრაობის უნარი, ქსელური ტელეფონების გამოსხივების ზემოქმედებით საშუალოდ 8 პროცენტით დაბლა იწევს. ასეთივე ეფექტი შეინიშნება სპერმატოზოიდების სიცოცხლისუნარიანობის შეფასების დროს.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ჯანსაღ მამაკაცებს არ აქვთ საფუძველი პანიკისათვის, თუმცა ისინი, ვისაც აქვს პრობლემები ჩასახვასთან დაკავშირებით, არ ღირს რომ ტელეფონებს ინახავდნენ შარვლის ჯიბეში.

ფაქტს კომენტარს უკეთებს, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ომარ გრიგალაშვილი:

— ტელეფონს მოლოდინის რეჟიმში ელექტრომაგნიტური ველი დიდი არა აქვს. გამოსხივების დოზა — უმნიშვნელოა. მაგრამ თუ ადამიანს ტელეფონი უდევს ჯიბეში და იმით საუბრობს გარნიტურის მეშვეობით, თანაც ტელეფონი გადაადგილდა ჩვენთვის საინტერესო ობიექტის მახლობლად, მაშინ თეორიულად შეიძლება ვივარაუდოთ ელექტრომაგნიტური ველის მნიშვნელოვანი გავლენა სპერმაზე. „გამოსხივების“ სიტუაცია უფრო რეალურია, თუ ნოუთბუკი ან „პლანშეტნიკი“ უდევთ მუხლებზე (თანაც არაა სავადებულო მუშაობდეს wifi-ის რეჟიმი), მე უფრო მეტ აქცენტს გავაკეთებდი ფეხმძიმე ქალებზე, რომლებსაც თავიანთი ტელეფონები აქვთ ჩანთებში, ჩანთები კი — მუცელზე. მათი მუცლების გეომეტრია კარგია ელექტრომაგნიტური ველის შთანთქმისთვის, და ქსოვილები მეტ ტალღებს ნთქავენ... ის კი, რომ ელექტრომაგნიტური ველი გავლენას ახდენს ნაყოფის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, — უკვე დადასტურებული ფაქტია.

ამართლებთ ღალატს?

65 პროცენტი — არა, ესაა ყველაზე მახლობელი ადამიანის ღალატი.

14 პროცენტი — გააჩნია, ვინ ვის ღალატობს, თუ მე ვარ — გავამართლებ, თუ მე მღალატობენ — არა..

11 პროცენტი — არ ვიცი, ამაზე არასდროს მიფიქრია.

10 პროცენტი — დიახ, მას შემოაქვს ცხოვრებაში სიმწვავე და ხშირად ქორწინებას უფრო მყარს ხდის.

სულ გამოკითხვაში 1215 კაცმა მიიღო მონაწილეობა.

ორი სათრეველა

„საბა“

საიდან სადაო, წმიდაო საბაო,
ამგვარი პრემიით, თან ასე სადავოდ,
ვინ რატომ ღადაობს, ან რატომ ღადაობს?

დაბმული მუზა

„ნაცი“ თვალებს ეშხით ნაბავს,
როცა ჯილდოდ იღებს „საბას“!
სხვა რა უნდა „თიბისს“, აბა?
„ნაცთან“ ერთად სხვებსაც აბამს,
თან თამაშობს მამა აბრამს!

ალექსანდრე შენგელია

ცინცხალი ანეკდოტები

ერთმანეთს შეხვდნენ ბრმა და კოჭლი.

— როგორ მიდის საქმეები? — ეკითხება ბრმა.

— თვითონაც ხედავ. — უპასუხებს კოჭლი.

* * *

— რაბინოვიჩ, ბუზი გაზით.

— თქვენ რა, იმის თქმა გინდათ, რომ მე ნეხვი ვარ?

— მე არაფრის თქმა არ მინდა, მაგრამ ბუზს ვერ მოატყუებ.

* * *

ორი გამცილებელი ესაუბრება ერთმანეთს.

— გუშინ უბილეთო მგზავრი ამოვიდა — ახალგაზრდა, სიმპათიური გოგო, ფული კი არ ჰქონდა...

— მერე რა ჰქენი, ჩამოსვი?

— არა, შემოვსვი.

ნიუ-იორკის **გენური ინჟინერიის ცენტრში ამერიკელებმა სამედიცინო ცდების წყალობით შეძლეს ლენინის მუმიის გაცოცხლება.**

გამოვიდა ვლადიმერ ილიჩი ქალაქში... იქ კი ცათამბჯენებია, ძვირიანი მანქანები, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე, კარგად ჩაცმული და აღზრდილი ხალხი, საჭმელ-სასმელი ყელამდეა...

შეჩერდა ერთგან ბელადი, ჩაფიქრდა და წარმოთქვა:

— სწორედ ასე მქონდა ეს წარმოდგენილი!

* * *

მირბის ქათამი, მას მამალი მისდევს.

— „თუ გავჩერდები, — ფიქრობს დედალი ეგონება, რომ ხელში ადვილად ჩასაგდები ვარ, თუ გავიქცევი, სულელი ვიქნები!

კარგი, გავიქცევი და ვითომ წავიქცევი!“

კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24